ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 61 (20707) — ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 16 ᲛᲐᲠᲢᲘ, 1990 ᲬᲔᲚᲘ. — ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐᲞ.

ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

1990 ᲬᲚᲘᲡ 14 მარტს მუშაობა განაგრძო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელმაც განიხილა სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან კანდიდატის დასახელების საკითხი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან.

პლენუმზე გამოვიდნენ: ვ. ა. მასოლი — უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, გ. გ. გუმბარიძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ნ. ი. მალკოვი — სკკპ ჩიტის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ი. ვ. დუბინინი — სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში, პ. კ. ლუჩინსკი — მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ი. ი. ვაგრისი — ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ნ. ი. რიჟკოვი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან კანდიდატად დაასახელოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი.

პლენუმზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მუშაობას განაგრძობს.

სსრ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲤᲘᲪᲘ ᲓᲐᲓᲝ

ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲕᲐᲪᲣᲚᲔᲑᲘᲜᲔᲑᲔᲡ

ᲛᲘᲰᲔᲘᲚ სერგის ძე გორბაჩოვი არჩეულია სსრ კავშირის პირველ პრეზიდენტად. ეს გამოაცხადეს 15 მარტს დილით სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე, მესამე ყრილობაზე.

თავმჯდომარემ **ა. ი. ლუკიანოვმა** სიტყვა მისცა ყრილობის ხმის დამთვლელი კომისიის ხელმძღვანელს **ი. ა. ოხიჩიანს**, რომელმაც გააქვეყნა წინა საღამოს მოწყობილი ფარული კენჭისყრის შედეგები. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა საერთო რიცხვია 2245, — თქვა მან. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა რიცხვი, რომლებმაც საარჩევნო ბიულეტენები მიიღეს გუშინდელი კენჭისყრის დროს, ზუსტად ორი ათასია. საარჩევნო ყუთების გახსნის შემდეგ აღმოჩნდა 1872 ბიულეტენი. ხმების დათვლის დროს ბათილად ცნეს 54 ბიულეტენი.

მიცემული ხმები შემდეგნაირად განაწილდა: კანდიდატს ხმა მისცა 1329 კაცმა, წინააღმდეგ — 495.

ამრიგად, განაცხადა დარბაზის ტაშის გრიალში კომისიის თავმჯდომარემ, ხმების დათვლის საფუძველზე სსრ კავშირის პრეზიდენტად არჩეულია ამხანაგი მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი.

უპასუხა რა ერთ-ერთი დეპუტატის კითხვას, კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მ. ს. გორბაჩოვის კანდიდატურამ მიიღო ყრილობის სიობრივი შემადგენლობის ხმების 59,2 პროცენტი, ანუ ბიულეტენების მიმღებ დეპუტატთა ხმების 66,45 პროცენტი, ანუ კენჭისყრის მონაწილეთა ხმების 70,76 პროცენტი. ორი უკანასკნელი ციფრი საცნობაროა. პირველი ოფიციალურად ითვლება.

ყრილობამ დაამტკიცა ხმის დამთვლელი კომისიის ოქმი.

ფარული კენჭისყრის შედეგების გამო მიღებულია დადგენილება: საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტად არჩეულ იქნეს **მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი.**

სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად, ქვეყნის პრეზიდენტი ფიცს დებს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის სხდომაზე.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატები, ყრილობის სტუმრები ფეხზე დგებიან. პრეზიდენტი ყრილობის მიერ დამტკიცებულ სსრ კავშირის კონსტიტუციაზე დებს ფიცს: „სიჯაროდ ვფიცავ ერთგულად ვემსახურო ჩვენი ქვეყნის ხალხებს, მკაცრად დავიცვა სსრ კავშირის კონსტიტუცია, უზრუნველვყო მოქალაქეთა უფლებანი და თავისუფლებანი, კეთილსინდისიერად შევასრულო ჩემთვის დაკისრებული სსრ კავშირის პრეზიდენტის სამაღლო მოვალეობა“.

ყრილობის სახელით თავმჯდომარემ დამსწრეთა ტაშის გრიალში მ. ს. გორბაჩოვი გამოაცხადა სსრ კავშირის პირველ პრეზიდენტად, რომელმაც დაიკავა საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობა.

სსრ კავშირის პრეზიდენტი **მ. ს. გორბაჩოვი** ტრიბუნასთან მიდის და სიტყვას წარმოთქვამს.

შესვენების შემდეგ **მ. ს. გორბაჩოვმა** თქვა: სსრ კავშირის პრეზიდენტად არჩევის გამო ჩემი, როგორც სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობანი ამოწურულია. ამის გათვალისწინებით უნდა გადავწყვიტოთ საკითხი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის შესახებ.

ყრილობას ეს საკითხი შეაქვს დღის წესრიგში.

იღებენ ყრილობის გადაწყვეტილებას მ. ს. გორბაჩოვის მიერ მის სსრ კავშირის პრეზიდენტად არჩევასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების მოსსნის შესახებ, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის პოსტზე ა. ი. ლუკიანოვის უფლებამოსილებათა შეწყვეტის შესახებ, რადგან ეს თანამდებობა გაუქმებულია, და მ. ს. გორბაჩოვის მიერ მის პრეზიდენტის პოსტზე არჩევასთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის უფლებამოსილებების მოხსნის შესახებ.

შემდეგ კვლავ ცხადდება შესვენება, რათა დეპუტატებმა შეძლონ განსაზღვრონ თავიანთი დამოკიდებულება ვიკანტური მაღალი სახელმწიფო პოსტის კანდიდატურებისადმი.

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ).

მ. ს. გორბაჩოვი ფიცის დადების დროს.

ᲡᲐᲙᲦᲔᲡ-ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ტელეფოტო.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲡᲠ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა **ადგენს:**

არჩეულ იქნეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტად ამხანაგი **მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი.**

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲠᲘ�გᲒᲐᲠᲔᲨᲘ, ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ კონსტიტუციაში ახალი თავი ჩაიწერა. მას ჰქვია „სსრ კავშირის პრეზიდენტი“. ამასთან დაკავშირებით საჭირო გახდა ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ძირითადი კანონის მთელ რიგ მუხლებში. კანონშემოქმედებითმა პროცედურამ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა დიდი დრო და ძალისხმევა მოითხოვა.

14 მარტს დილით ისინი შეიკრიბნენ კრემლში და **მ. ს. გორბაჩოვის** თავმჯდომარეობით განაგრძეს საპრეზიდენტო ხელისუფლებისა და კონსტიტუციამი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ კანონპროექტის განხილვა. პროექტი, როგორც უკვე ვიუწყებოდით, შედგება ოთხი კარისაგან. პირველი — სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის დაფუძნების შესახებ — პრაქტიკულად უდისკუსიოდ მიიღეს წინადღეს. მეორე კარმა, რომელიც კონსტიტუციურ ცვლილებებს ეხება, ფრიად გამწვავებული აზრთა გაზიარება გამოიწვია. იმ დღეს მოასწრეს სამოლოოდ ჩამოეყალიბებინათ მუხლები, რომლებიც ეხება სახელმწიფოში პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მასობრივი მოძრაობების ადგილს, აგრეთვე საკუთრების სხვადასხვა ფორმას.

კონსტიტუციის ახალი თავის „სსრ კავშირის პრეზიდენტის“ ირგვლივ კამათი ოთხშაბათს რამდენიმე საათს გაგრძელდა. ეს გასაგებია: საჭირო იყო შეემოწმებინათ თითოეული ფორმულირება, ზედმიწევნით აეწონ-დაეწონათ მისი შინაარსი, რათა სიჩქარეში არ ჩაედოთ ძირითად კანონში დაუმუშავებელი დებულებანი, მათი სხვადასხვანაირი გაგების შესაძლებლობა. ამიტომ ყრილობის სარედაქციო კომისიის თავმჯდომარეს **ვ. ნ. კუდრავცევს** დიდხანს მოუწია ტრიბუნაზე დგომა, მრავალრიცხოვან კითხვებზე პასუხის გაცემა, ამა თუ იმ წინადადების გამო აზრის გამოთქმა.

ყრილობაზე მრავალი საფუძვლიანი აზრი გამოითქვა. მაგრამ იყო იმის ცდებიც, რომ ყრილობა სხვა მიმართულებით წარემართათ, მთავარი ყურადღება პროცედურული საკითხებისადმი მიეპყრათ, ის კი არა, დაეყოლიებინათ კოდეც დეპუტატები ხელახლა ეყარათ კენჭი უკვე მიღებული გადაწყვეტილებებისათვის. მაგრამ ეს ცდები ამაო აღმოჩნდა.

ბოლოს და ბოლოს კანონშემოქმედებითი ᲗᲣᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲘᲡ ძიების ნარეკლიანმა გზამ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებს საშუალება მისცა განესაზღვრათ თავიანთი დამოკიდებულება საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის სტატუსისა და უფლებამოსილებისადმი. ყრილობამ მიიღო სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისი ცვლილებანი და დამატებანი.

შემდეგ დეპუტატები შეუდგნენ კანონპროექტის მესამე და მეოთხე კართა განხილვას, რომლებიც ეხება პირველი პრეზიდენტის არჩევნების წესს, პრეზიდენტის ფიცს და კანონის მიღების შემონტიდან მის სამოქმედოდ შემოღებას. არჩევნების წესთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებანი გამოითქვა, ამასთან გამოითქვა მწვავედ, ემოციურად: ერთნი დაბეჯითებით მოითხოვდნენ, პირველი პრეზიდენტი აერჩიათ დაუყოვნებლივ, ყრილობაზე, ვინაიდან, როგორც ერთმა დეპუტატმა თქვა, „ჩვენი ბედის ზარი შეიძლება გაიბზაროსო“, მეორენი — საყოველთაო-სახალხო არჩევნების მომხრენი იყვნენ ისეთი პირობებში, როდესაც „საყოველთაო-სახალხო“ მთლიანობა ფაქტობრივად უკვე აღარ არსებობს.

ყრილობამ ხმების კვალიფიციური უმრავლესობით მიიღო კანონპროექტის მესამე და მეოთხე კარები.

ამრიგად, სსრ კავშირის კანონი სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის დაწესებისა და სსრ კავშირის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე მესამე ყრილობამ მიიღო.

იმის გამო, რომ ადრე დეპუტატი **ა. ა. ხობჩაკი** სიტყვას ითხოვდა რეპლიკისათვის, მას დაპირებისამებრ მისცეს ასეთი შესაძლებლობა კანონის მიღების შემდეგ. ყრილობის ტრიბუნიდან იგი ეპაექრებოდა წინადღით გამოსულ დეპუტატს ი. კ. პოლოზკოვს, კერძოდ, იმ საკითხის გამო, რომელიც სახელმწიფო-კოოპერაციული კონცერნის „ანტ“-ის საქმიანობასთან იყო დაკავშირებული. ორატორმა ამ კონცერნის შექმნა დაბრალა საბჭოთა მთავრობას და მთელ რიგ სამთავრობო ორგანოებს. ამასთან დაუშვა არაკორექტული გამონთქვამები სსრ კავშირის ბოლო მოწვევის უზენაესი საბჭოს ბევრი დეპუტატის, საბჭოთა მთავრობის მეთაურის, აგრეთვე, რუსეთის ფედერაციის იმ ხელმძღვანელთა მიმართ, რომლებიც რსფსრ სახალხო დეპუტატებად არიან არჩეული იაკუტეთის ასს რესპუბლიკასა და ადიღეს ავტონომიური ოლქისაგან.

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲒᲕ.-ᲖᲔ ᲒᲒ.).

ССР ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ Მ. Ს. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ССР ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲠᲘ�გᲒᲐᲠᲔᲨᲘ, ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲖᲔ

ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚᲝ ამხანაგო დეპუტატებო! დიდ მადლობას მოგახსენებთ ნდობისათვის, რომელიც გამიწიეთ, როცა სსრ კავშირის პირველ პრეზიდენტად ამირჩიეთ.

შეგნებული მაქვს, რომ ამ მოვალეობას ვკისრულობ სახელმწიფოსათვის ძნელ მომენტში. მე დავთანხმდი კენჭი მეყარა პრეზიდენტობაზე, რადგან მწამს ჩვენი სახელმწიფოს მომავალი, აგრეთვე იმიტომ, რომ გარდაქმნა მთელი ჩემი ცხოვრების აზრი გახდა.

მესმის, რომ მე განსაკუთრებით მომეკითხება, ეს ერთხელ კიდევ მწვავედ ვიგრძენი, როცა ვუსმენდი დეპუტატთა გამოსვლებს ჩემი კანდიდატურის განხილვის დროს. და არ მინდა თავი ავარიდო ხალხს წინაშე ჩემი მოვალეობის შესრულებას.

გარდაქმნის პოლიტიკა, როგორც ვფიქრობ, ისეთი ქვეყნისათვის, როგორიც ჩვენია, ახალ თვისებრივ მდგომარეობაში, ავტორიტარულ-ბიუროკრატიული სისტემიდან ჰუმანურ დემოკრატიულ სოციალისტურ საზოგადოებაზე გადასვლის ერთადერთი შესაძლო მშვიდობიანი გზაა.

ბუნებრივია, ჩემგან, როგორც პრეზიდენტისგან, ელიან გაკეთებულის შეფასებასაც და იმასაც, თუ როგორ წარმომიდგენია ჩემი სამომავლო მოქმედების პროგრამა.

გარდაქმნის მთავარი მონაპოვარია დემოკრატია და საჯაროობა, და ამას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს შემდგომი ცვლილებების მთელი მიმდინარეობისათვის. ახლანდელი რთული ვითარების, სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში სიძნელეებისა და პრობლემების მიუხედავად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აქ ადამიანის ინტერესებისაკენ სტრატეგიული შემობრუნება დაისახა. ყველა ჩვენგანი ვგრძნობთ პოლიტიკურ ცვლილებათა პირველ რეალურ შედეგებს. იქმნება ნამდვილი სახალხო ხელისუფლების სისტემა, ყალიბდება სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძველები. დაიწყო ძნელი, მაგრამ საარსებოდ მნიშვნელოვანი გადასვლა უნიტარული სახელმწიფოდან სისხლისგან ფედერაციაზე.

გავშალეთ რა ახალი აზროვნების საფუძველზე გარდაქმნა ჩვენს ქვეყანაში, შევიმუშავეთ ახალი საგარეო პოლიტიკა. ამან შეცვალა წარმოდგენა თანამედროვე მსოფლიოში საბჭოთა კავშირის როლზე. რაც მთავარია, ეს მოვიმოქმედეთ, უნდა ითქვას, უკანასკნელ ზღურბლთან, როცა მსოფლიო აღმოჩნდა გლობალური კატასტროფის მიჯნაზე. მოვლენების საფეხურზე მიმდინარეობა შეჩერდა, დაიწყო საერთაშორისო ურთიერთობის გაჯანსაღება.

ერთი სიტყვით, ამხანაგებო, საქმე ეხება ისტორიული მასშტაბის შემობრუნებას, ეს ყველამ უნდა შევიგნოთ, ხორცშ გაგიჟირდება სწორად შეავფასოთ ბევრი მოვლენა, ზოგჯერ მტკივნეული, რომლებიც თან სდევს გარდაქმნას.

ცვლილებების ასეთი მძლავრი შემობრუნების და, პირდაპირ ვიტყვით, ამისათვის კადრების, საზოგადოებრივი შეგნების მოუმზადებლობის გამო, ბუნებრივია, ვერ ვასწრებდით ყველაფრის გაკეთებას ისე, როგორც ჯერ არს. თავისი ნეგატიური ზეგავლენა მოახდინა არასესაყრელ გარემოებათა დამთხვევამ: ჩერნობილმა, სომხეთმა, სხვა სტიქიურმა უბედურებებმა, ჩვენთვის მსოფლიო ბაზარზე სიტუაციის მკვეთრმა გაუარესებამ. საკმაო ზარალად დაგვიჯდა სინვესტიციო პოლიტიკამი, ანტიალკოჰოლური კამპანიის მოწყობის დროს დაშვებული ხარვეზები. უდიდესი დანაკარგები და მსხვერპლი იყო დანაშაულებრივი გულგრილობის და ეროვნებათშორისი მტრობის კიდევ უფრო დანაშაულებრივი გაღვივების შედეგი.

ხელს გვიშლიდა ათწლეულების მანძილზე ფესვგადგმული დოგმატიკური შეხედულებების ინერცია, უძრაობის, პასიურობის, ზემოდან კარნახით ცხოვრების ჩვეკა. ყოველივე ეს დღესაც იჩენს თავს. მე ასეც ვიტყოდი: ეკონომიკური და სოციალური ხასიათის ყველა სიძნელის, სხვა პრობლემების სიმწვავის დროს გარდაქმნების გზაზე მთავარი დაბრკოლება კვლავ შეგნების უძრაობაა.

გვერდს ვერ ავუვლი ყველა ელფერის ანტიგარდაქმნის დესტრუქციული ძალების დამამუხრუჭებელი ზემოქმედების საკითხსაც. მათი მოქმედება დამატებით სიძნელეებს ქმნის და მოითხოვს ყველა იმათ შეკავშირებასა და სიმტკიცეს, ვინც გულწრფელად ესწრაფვის ჩვენი საზოგადოების გაჯანსაღებას. შეგნებული მაქვს სიტუაციის დრამატიზმი, პრობლემების სირთულე და არაორდინარულობა, საზოგადოების აფორიაქება, მაგრამ ვერ ვხედავ პანიკის საფუძველს, მით უმეტეს იმისათვის, რომ შევცვალოთ პოლიტიკა.

პირიქით, ცხადია, გარდაქმნის პოლიტიკის რადიკალიზაციის საჭიროება. უწინარეს ყოვლისა სწორედ ამ მიზნებით გამოვიყენებ პრეზიდენტის უფლებამოსილებას. განსაკუთრებით გავუსვამ ხაზს, რომ ამ უფლებამოსილებებს გამოვიყენებ დემოკრატიულ საფუძველზე გარდაქმნის ყველა პროცესის ნამდვილად მტკიცე წინწაწევისათვის.

ამის თქმა საჭიროდ მიმაჩნია იმიტომაც, რომ ყრილობამდე და აქაც, თავად ყრილობაზე, გამოთქვამენ შიშს: ხომ არ მოჰყვებიან პრეზიდენტობას ძალაუფლების უზურპაცია. ასეთი შიშის არავითარი საფუძველი არ არსებობს. ამის გარანტიაა თვით კონსტიტუცია, რომლის სადარაჯოზე ახლა დგანან სახელმწიფო ხელისუფლების მძლავრი, რეალური უფლებების მქონე უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები — სახალხო დეპუტატთა ყრილობა და უზენაესი საბჭო. ამის გარანტიაა სერიოზული, ღრმად მოფიქრებული საპარლამენტო, რომლებიც გამორიცხავენ ერთხელისუფლებიანობისაკენ განვითარებას. ამის გარანტიაა ჩვენში რეალობად ქცეული საჯაროობა, პოლიტიკური პლურალიზმი.

უპირველეს ამოცანად მიმაჩნია სოციალურ და ეკონომიკურ სფეროში დაძაბულობის შენელების ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელება.

ახლა ბევრს ლაპარაკობენ „გაუბედაობაზე“, „ზოზინზე“, საჭირო ღონისძიებათა „დაგვიანებაზე“ და ა. შ. ამაში არის სამართლის წილი. ამავე დროს მინდა ვთქვა, რომ ჩვენ განვლეთ საჭირო მოსამზადებელი ეტაპი. სამეურნეო ანგარიშის, ჩვენთვის მეურნეობრიობის ისეთი ახალი ფორმების აპრობირების გარეშე, როგორიცაა იჯარა და ნარდი, კოოპერაციის აღორძინების, ორგანიზაციულ-მმართველობითი სტრუქტურების შეცვლისა და ბევრი სხვა რამის გარეშე, რაც სამეურნეო პრაქტიკაში გაჩნდა, ჩვენ ვერ მივაღწევდით არსებული პრობლემების, ეკონომიკური რეფორმის ფარლებში მათი გადაჭრის ოპტიმალური მეთოდების გაგების ახლანდელ დონეს. და, რაღა თქმა უნდა, შეუძლებელი იქნებოდა ფუნდამენტური კანონების შემუშავება, რომლებიც მიღებულია ან სადაცაა მიიღებს უზენაესი საბჭო.

საზოგადოებას ყოველივე ეს უნდა გაეგო. ჩვენ უბრალოდ მზად არ ვიყავით ესოდენ მკვეთრი ცვლილებებისათვის, და ახლაც კი არა ვართ მთლიანად მზად. ერთი სიტყვით, მოსამზადებელი ეტაპი ობიექტურად გარდაუვალი იყო. რა თქმა უნდა, ეკონომიკის ღრმა გარდაქმნა შეუძლებელი აღმოჩნდა მთლიანად ავტორიტარულ-ბიუროკრატიული სისტემის დემონტაჟის გარეშე. არა გვქონია სამართლებრივი წანამძღვრებიც ნამდვილად კარდინალური, ეკონომიკური ცვლილებებისათვის.

ახლა, როცა ასეთი წანამძღვრები არის, გაჩნდა შესაძლებლობა, ბოლოს და ბოლოს, დავძლიოთ სიტუაცია, რომლის დროს არსებობს მეურნეობრიობის ძველი და ახალი ფორმები — მბრძანებლური და ეკონომიკური — არსებობს, ამასთან ანტაგონისტური ფორმით, და ერთმანეთს ასუსტებს. ამის შედეგად მცირდება როგორც ერთის, მეორის ქმედითობა, ძლიერდება სამომხმარებლო ბაზრის, ფულის მიმოქცევისა და ფინანსების შეუწონასწორებლობა, ნელდება ეკონომიკური ზრდის ტემპი და უარესდება ხარისხი. ეკონომიკური რეფორმის დაჩქარების საჭიროება ნაკარნახევია მთავრობის პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული შემაშფოთებელი მდგომარეობით.

გვჭირდება სწორედ გარდატეხა, თორემ ნეგატიური ტენდენციები წინანდელზე უფრო სწრაფად გაიზრდება. ჩემი აზრით, მტკიცედ უნდა ვიმოქმედოთ ეკონომიკური რეფორმის, რადიკალიზაციისათვის. უწინარეს ყოვლისა საჭიროა ნამდვილად გამოვავლინოთ უდიდესი აღმშენებლობითი პოტენციალი, რომელსაც შეიცავს საკუთრების, მიწის, იჯარის შესახებ კანონები, ამ პაკეტის სხვა საკანონმდებლო აქტები, რომელთა მიღება დამამთავრებელ სტადიაშია. ამ კანონების განხორციელება პრეზიდენტის მთავარ ამოცანად მიმაჩნია.

კანონები თავისთავად ვერ ამოქმედდება, ადამიანთა ინიციატივა და გერგილიანობა ამაო იქნება, თუ არ შეგქმნით შესაბამის ეკონომიკურ გარემოს. რეალურად უნდა მოვკიდოთ ხელი სისხლსავსე საშინაო ბაზრის შექმნას. ეს ურთულესი ეკონომიკური, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური პრობლემაა. მას ერთი ხელის დაკვრით ვერ გადაჭრი, მაგრამ უკვე დღეს აქ უნდა ვიმოქმედოთ თანამიმდევრულად, თავიდან ავიცილოთ ყოველგვარი შიში და კომპლექსები.

აქ იოლად ვერ წავალთ, თუ არ განვახორციელეთ ფასწარმოქმნის, მომარაგებისა და გასაღების სისტემები, თუ არ შევცვალეთ სახელმწიფო შეკვეთების განლაგების, სასაქონლო, შემდგომში კი საფოსდო ბირჟების შექმნის პრაქტიკა. დიდი ნაბიჯი უნდა იყოს გადასვლა ძირითად სახეობათა სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის ნატურალურ გადასახადზე სოფლის მეურნეობის ჭარბი პროდუქციის თავისუფალ გაჭრობასთან შეხამებით.

გადაუდებლად უნდა მივიღოთ კანონები და გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია ეკონომიკის დემონოპოლიზაცია.

სიცოცხლისუნარიანი ბაზრის დროს სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ეკონომიკურ პროცესებზე ზემოქმედების საიმედო ინსტრუმენტები. ამას, უწინარეს ყოვლისა, გაწეკუთვნება საწარმოთა მოგებისა და მოსახლეობის შემოსავლის დაბეგვრის რაციონალური სისტემა, ფინანსური კონტროლი, სსრ კავშირის სახბანკის მიერ მთელი სადამხდელო ბრუნვის, როგორც ერთიანი მთელის, რეგულირება, აქტიური საკრედიტო პოლიტიკა ისეთი საპროცენტო განაკვეთების დაწესებით, რომლებიც შეესაბამება რეალურ ეკონომიკურ კონიუნქტურას.

და ყველაზე უფრო საჭიროა უკვე უახლოეს ხანში მნიშვნელოვნად შევამციროთ სახელმწიფო ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ლიკვიდაციის, ინფლაციური პროცესებისადმი წინააღმდეგობის მიზნით. ამავე დროს უნდა შევიმუშაოთ მთელი მოსახლეობისათვის, უწინარესად მცირეხელფასიანი და ხელმოკლე ფენებისათვის საიმედო სოციალური გარანტიები, სოციალური დაცვის სხვადასხვა ღონისძიებანი, მათ შორის ფასების ზრდასთან დაკავშირებით შემოსავლის საკომპენსაციო დანამატების სისტემა.

ავარარიკოსმა დეპუტატებმა, სოფლის ყველა მშრომელმა, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ, უნდა იცოდნენ, რომ ჩემთვის, როგორც პრეზიდენტისათვის, საბჭოთა გლეხობის ცხოვრების ყველა საკითხი, სასურსათო საკითხი პრიორიტეტულია.

ყველა ამ ღონისძიების პრაქტიკული რეალიზაციისათვის ძირითადი პასუხისმგებლობა, ცხადია, მთავრობას ეკისრება. ამავე დროს საჭირო იქნება საპრეზიდენტო ბრძანებულებების მიღება საკვანძო საკითხებზე — ზუსტად დაისვას ამოცანები, დაისახოს ვადები და პასუხისმგებელი პირები.

უნდა ვიყოთ უადრესად გულახდილნი: მასშტაბურ ღონისძიებათა განხორციელება საზოგადოებას ახალ პირობებში ჩააყენებს და პირველხანად ამას შეიძლება თან სდევდეს მტკივნეული მოვლენები, შელახოს ვიღაცის ინტერესები. ამიტომ ყველა კარდინალური საკითხზე უნდა მივიღწიოთ ურთიერთგაგებასა და თანხმობას საზოგადოებაში.

ამხანაგებო! გარდაქმნის ბედს უდიდესწილად განსაზღვრავს ის, თუ როგორ გარდავქმნით ჩვენს ფედერაციას. მე, როგორც უკვე პრეზიდენტმა, კვლავ ვადასტურებ ერთგულებას ქვეყნის მთლიანობისადმი. ამავე დროს ვითვალისწინებ იმას, რომ სპარეზიდენტო ხელისუფლების განსაკუთრებული სგანი უნდა გახდეს მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტის, მათი ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის განმტკიცების ღონისძიებათა მიღება, ავტონომიური რესპუბლიკების, სხვა ეროვნულ-ტერიტორიული ფორმირებების სტატუსის ამაღლება.

ვიზიარებ რა ამ საკითხებზე აქ გამოთქმულ მოსაზრებებს, გადაუდებლად მიმაჩნია ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების შეშეგება, რომელიც შეესაბამება ჩვენი ფედერაციის, თითოეული ხალხის განვითარების ახლანდელ რეალობებსა და მოთხოვნილებებს. ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ ფედერაციული კავშირურთიერთობის დიფერენციაცია ყოველი რესპუბლიკის პირობების თავისებურებისა და შესაძლებლობების შესაბამისად.

რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და მათი თვითგამორკვევის, ამასთან თვით გამოყოფის უფლების დადასტურების მიზნით, რაც დაფიქსირებულია კონსტიტუციაში, უთანხოლოს ხაში უზენაესმა საბჭომ უნდა განიხილოს აგრეთვე და კანონით განსაზღვროს კავშირიდან გასვლის მექანიზმი. ყველა ამ საკითხზე უზენაეს საბჭოსთან თანამშრომლობით იმუშავებს პრეზიდენტი ფედერაციის საბჭოსთან ერთად.

საჭიროა საგანგებო ღონისძიებანი, რათა გადავჭრათ ეროვნებათშორისი შუღლის ნიადაგზე წამოჭრილი მეტად ეფექტური პრობლემები, უწინარეს ყოვლისა ლტოლვილთა პრობლემა. ამ თვალსაზრისით შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობებმა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში საკავშ

სსრ კავშირის პრეზიდენტის მ. ს. გორბაჩოვის სიტყვა

(დასასრული)

ულტიმატუმური მოთხოვნების საშუალებით სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინსტიტუტებზე ზეგავლენის მოხდენის გზით.

ზოგიერთი დაჯგუფება და მოღვაწენი აშკარად იმედოვნებენ ოავს მოგვახვიონ თავიანთი შეხედულებანი შიშის, სამოქალაქო ომის, გადატრიალების, ეროვნული კატასტროფის საფრთხის გაძლიერებით და ა. შ. მაგრამ საზოგადოება საერთოდ არ ეთანხმება ქვეყნის პოლიტიკაზე ზემოქმედების ასეთ ხერხებს, უარყოფს ამ მეთოდებს, რომლებიც ძირფესვიანად ეწინააღმდეგება გარდაქმნის მიზნებს, საშიშია ჩვენი ახალგაზრდა სუსტი დემოკრატიისათვის. პროცესების ასეთი განვითარება მტკიცედ უნდა შეკავერთოთ.

საპრეზიდენტო ხელისუფლების ამოცანაა ენერგიულად წინააღუდგეს სისხლისსამართლებრივ დანაშაულობას — მოქალაქეთა როგორც სიცოცხლის, ქონების, ღირსებისა და უშიშროების ხელყოფის სფეროში, ასევე სპეკულაციის, „ფარული ეკონომიკის“ სფეროშიც, რომლებმაც შეუწყვარებელი მასშტაბი მიიღო. ამ მიზნით საჭირო იქნება მკაცრი კონტროლი დაეუწესოთ შესაბამისი კანონების შესრულებას, გამოცეთ საჭირო ბრძანებულებანი და, რა თქმა უნდა, განვამტკიცოთ სამართალდამცავი ორგანოები, საჭიროდ მიმაჩნია დაჩქარდეს სასამართლოს, საგამოძიებო აპარატის, პროკურატურის რეფორმა, რათა მათი მდგომარეობა, უფლებები და პასუხისმგებლობა შეესაბამებოდეს ამოცანებს, რომლებსაც ისინი უნდა წყვეტდნენ.

საკითხის ამგვარი დასმით. მე არ ვხსნი პასუხისმგებლობას საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს, თუნდ ჩვენს კადრებს სამართალდარღვევათა წარმომშობი მიზეზების აღმოფხვრისათვის. დამნაშავეობა მრავალ შემთხვევაში უყაირათობის, მფლანგველობის, საკუთრებისადმი უპატივცემულო დამოკიდებულების და იმის შედეგია, რომ არ არის მატერიალურ ფასეულობათა ჯეროვანი აღრიცხვა და საზოგადოებრივი წესრიგი.

ჯეროვანი წესრიგის დამყარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ექნება საბჭოების ახალ შესაძლებლობათა გამოყენებას, ამ საქმეში საზოგადოებრიობის ჩაბმას, პრესის აქტიურ მონაწილეობას.

არავითარ ხელისუფლებას არ ძალუძს შეცვალოს ზნეობრივი საფფძვლები, რომელთა გარეშე შეუძლებელია ადამიანთა ნორმალური საერთო ცხოვრება. წინათ ჩვენში, არსებითად, უგულებელყოფდნენ სულიერ ცხოვრებას, იდეალიზმად მიიჩნდათ, და ახლა ეს ძვირად გვიჯდება. ჩვენ გვეჩვევა სხვა, კეთილსინდისიერი დამოკიდებულება შრომისადმი, მეცნიერებისადმი, განათლებისადმი, ხელოვნებისადმი, კულტურისადმი ამ სიტყვის უფართოესი მნიშვნელობით. უნდა შევქმნათ პირობები, რათა ყოველგვარ სულიერ ღირებულებებს აღიქვამდნენ საზოგადოებაში როგორც საარსებო აუცილებლობას მისი სრულფასოვანი არსებობისა და განვითარებისათვის.

იმ უმდიდრეს კულტურულ ფონდზე დაყრდნობით, რომელიც ჩვენს ხალხებს შეუქმნიათ თავიანთი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, მათ შორის საბჭოთა პერიოდში, მსოფლიო ცივილიზაციის ღირებულებებისადმი ზიარებით უნდა გავაკეთილშობილოთ საზოგადოებაში ადამიანთა ურთიერთობის მთელი ატმოსფერო, გავაერთიანოთ ყველა, ვინც სამშობლოს კეთილდღეობას ესწრაფვის.

ეს, ალბათ, ჩვენ ჯერ ნამდვილად არ გაგვიცნობიერებია. ჩვენს საზოგადოებრიობას ღრღნის ჯგუფური პაექრობანი, ზოგჯერ საქმე მიდის სკანდალურ ანგარიშსწორებამდე, განსაკუთრებით ინტელიგენციის წრეებში, რომელსაც ესოდენ ბევრი რამ მოეთხოვება ქვეყნის ისტორიის ამ გარდამტეხ კრიზისულ ეტაპზე. ზოგზგებს საერთოდ საეჭვოდ მიაჩნიათ საზოგადოებაში კონსოლიდაციის შესაძლებლობა და მიზანშეწონილობა. მე ამას ვერ დავეთანხმები. ძნელ ქამს ხალხი ყოველთვის პოულობს ძალას, რათა გაუძლოს, დაძლიოს დაბრკოლებანი. ხოლო ისინი, ვინც სულიერ მოძღვრად მიაჩნიათ, მოვალენი არიან ყოველნაირად შეუწყონ ხელი ასეთ ერთიანობას.

რა თქმა უნდა, კონსოლიდაცია დღეს გვჭირდება გარდაქმნის პოლიტიკისა და იდეების გარშემო ყოველივე იმის დასაძლევად, რაც ხელს უშლის მას.

საგარეო პოლიტიკის შესახებ. ამ ბოლო წლებში იგი შემოწმდა რეალიზმითა და საღი აზრით. პირველმა მიდგომამ საშუალება მოგვცა ბოლო მოგვიღო „ცივი ომისათვის“ და აღმოგვეფხვრა უშუალოდ ომის საფრთხე. საბჭოთა კავშირმა თავის სამშვიდობო არსით ღირსეული ადგილი დაიკავა მსოფლიო გაერთიანებაში. და მე მტკიცედ უარვყოფ დილეტანტურ, ზოგჯერ კი უბრალოდ უპასუხისმგებლო თავდასხმებს ჩვენს საგარეო პოლიტიკაზე.

მიიღო რა ცნობილი დადგენილება საგარეო პოლიტიკის შესახებ, სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობა საბჭოთა ხალხის სახელით მისი გარანტი გახდა. პრეზიდენტის ყველა მოქმედება ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს ამ დადგენილების ფორმასა და შინაარსს.

პრეზიდენტის ინსტიტუტი ჩვენთან შემოღებულია მსოფლიო განვითარების გარდამტეხ ეტაპზე, როცა პრინციპულ ცვლილებებს განიცდის ომისშემდგომი სახელმწიფო-პოლიტიკური წონასწორობის სტრუქტურა. „ცივ ომს“ ბოლო მოეღო, მაგრამ სამხედრო კონფრონტაცია ჯერ კიდევ არ არის დაძლეული. ამტომ უშიშროების უზრუნველყოფის პოლიტიკური მეთოდების უთუო პირორიტეტის პირობებში პრეზიდენტის საქმიანობაში აუცილებელი კომპონენტი უნდა იყოს აგრეთვე გონივრული საკმარისობისა და ახალი სამხედრო დოქტრინის პრინციპებზე ქვეყნის თავდაცვითი პოლიტიკის ხელმძღვანელობაც, ზრუნვა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებისათვის. სხვაგვარი მიდგომა მიუღებელია. უკვე როგორც პრეზიდენტმა, მინდა აღვნიშვათ, რომ ასეც იქნება.

ახლა ჩვენ გვჭირდება საფუძვლიანი სამხედრო რეფორმა. აქ უნდა გადავჭრათ რთულ საკითხთა დიდი კომპლექსი. და ეს პრეზიდენტის, პრეზიდენტის საბჭოს — რა თქმა უნდა, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოსთან თანამშრომლობით — ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი საზრუნავი გახდება. ვსარგებლობ შემთხვევით, და მინდა დავდასტურო ჩემი ერთგულება სახალხო დეპუტატთა ყრილობის მიერ დამტკიცებული პრინციპისადმი — კატეგორიულად და სამუდამოდ არის გამორიცხული შეიარაღებული ძალების გამოყენება ქვეყნის ფარგლებს გარეთ უზენაესი საბჭოს ან ყრილობის სანქციების მიუღებლად. ერთი გამონაკლისით — გარედან მოულოდნელი თავდასხმის შემთხვევაში.

რა მოგველის საგარეო-პოლიტიკურ სფეროში უახლოს ხანს? ერთ-ერთი მთავარია ყველა ძირითადი სახეობის შეიარაღების შესახებ მოლაპარაკების პროცესის ენერგიული წინსვლა, რათა მივაღწიოთ არსებითს შედეგებს, სასურველია, უკვე წლეულს.

ვაშინგტონში პრეზიდენტ ბუშთან შეხვედრისათვის მზადდება დიდი გადაწყვეტილებანი, რომლებიც ნიშნავს არა მარტო ახალ ნაბიჯს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესების გზაზე, არამედ გახდება ჩვენი ორი სახელმწიფოს დიდმნიშვნელოვანი წვლილი მსოფლიო პოლიტიკის პოზიტიურ ტენდენციათა დამკვიდრებაში. აღმოსავლეთ ევროპაში ექვსავე მოკავშირე ქვეყანაში მოხდა ისტორიული მნიშვნელობის ცვლილებანი. ვაგებთ რა მათთან ურთიერთობას სრული თანასწორუფლებიანობისა და არჩევნის თავისუფლების პრინციპებზე, უკუვაგდებთ რა ყოველივე იმას, რაც შეუთავსებელია ახლებურ აზროვნებასთან, საჭიროა შევინარჩუნოთ ყოველივე მნიშვნელოვანი, ნამდვილად პროგრესული, რაც დაგროვილია მჭიდრო ურთიერთობის ათწლეულების მანძილზე.

განსაკუთრებული ადგილი უკავია გერმანიის საკითხს. იგი ახლა ევროპის პოლიტიკის ცენტრშია. ამ დღეებში არაერთგზის მომიხდა ჩამომეყალიბებინა ჩვენი პოზიცია. იგი კარგად არის ცნობილი ჩვენი ხალხისთვისაც და ყველა დაინტერესებული მხარისთვისაც. მისი არსი ის არის, რომ გერმანელების მიერ თავიანთი ერთიანობის ბუნებრივი უფლების განხორციელებამ მოლიანად და სამუდამოდ გამორიცხოს ომის საშიშროება გერმანიის ტერიტორიიდან. აქედან გამომდინარეობს ყოველივე დანარჩენი — ოთხი სახელმწიფოს უფლებებიც, საზღვრების უურყეობაც, კავშირიც საერთო-ევროპულ პროცესებთან, ნატოსი გერმანიის ყოფნის მიუღებლობაც და მეორე მსოფლიო ომის შედეგების შესახებ საზავო ხელშეკრულების აუცილებლობაც.

საერთაშორისო მოვლენების სწრაფი მიმდინარეობა ახალ მნიშვნელობას ანიჭებს უმაღლესი დონის საერთო-ევროპულ შეხვედრას ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის მონაწილეობით ამა წლის შემოდგომაზე. დროა ვიფიქროთ ბლოკის სისტემის შეცვლაზე უშიშროების, თანამემშედეგისა და თანამშრომლობის კოლექტიური ორგანოებით — ევროპის ცენტრში გაერთიანებული გერმანიის შექმნის გათვალისწინებით. უკვე ახლა საჭიროა ორიენტაცია „ვერსალსკი-ორზე“, რომელიც შეიძლება საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიაში ორი ეპოქის წყალგამყოფი გახდეს.

მთელ რიგ ავტორიტეტიან ქვეყნებთან ხელმოწერილია ერთობლივი განცხადებანი და ათობით შეთანხმება თანამშრომლობის სხვადასხვა სფეროში. ნაცვალგებლის პირობებში მათი ერთგულება სტაბილურობის, უშიშროებისა და პროგრესის, ხოლო ევროპაში „საერთო-ევროპული სახლისაკენ“ რეალური წინსვლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელსაც ჩვენ მჭიდროდ დავუკავშირეთ ჩვენი ბედი. პრინციპული და პრაქტიკული მნიშვნელობის ამ დოკუმენტებში ყოველივე ჩადებულის რეალიზაციისადმი კონტროლი აგრეთვე პრეზიდენტის კომპეტენციაში შედის.

ახალი აზროვნების პოლიტიკა სულაც არ ნიშნავს ჩვენი ინტერესის შენელებას განვითარებადი ქვეყნებისადმი. უცვლელია ჩვენი სოლიდარობა იმათთან, ვინც იბრძვის თანასწორი უფლებისათვის, სოციალური პროგრესისათვის, დემოკრატიისა და ადამიანის ღირსეული ცხოვრებისათვის.

აზია-წყნარი ოკეანის მიმართულებით თანამიმდევრულად უნდა განვახორციელოთ ვლადივოსტოკისა და კრასნოიარსკის ინიციატივები, გადავიყვანოთ ისინი კონკრეტული, საქმიანი ურთიერთობის სიბრტყეში.

ჩვენ მრავალი წლის მჭიდრო თანამშრომლობა გვაკავშირებს დიდ ინდოეთთან, კარგად განვითარდა თანამშრომლობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან.

ევროპასა და აზიაში სამშვიდობო გაერთიანებათა მშენებლობის პროცესები, ჩემი აზრით, ბოლოს და ბოლოს უნდა დაგვირგვინდეს უშიშროების ერთიანი სისტემით ევროპა-აზიის მთელ სივრცეზე.

სერიოზულად უნდა გავარკვიოთ სიტუაცია ახლო აღმოსავლეთში, განვაახლოთ ჩვენი აქტიური პოლიტიკა ჩვენთვის, მთელი მსოფლიო გაერთიანებისათვის ამ მნიშვნელოვან რეგიონში.

ჩვენს საგარეო-პოლიტიკურ კავშირურთიერთობაში სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს ლათინური ამერიკა. აქაც იქმნება შანსი ერთად გავზარდოთ საერთაშორისო განვითარების პოზიტიური ტენდენციები.

პრეზიდენტის თვალთახედვის არეში დღენიადაგ უნდა იყოს მსოფლიო-სამეურნეო კავშირურთიერთობის სისტემაში სსრ კავშირის ჩაბმისა და გარემოს დაცვისათვის საერთაშორისო ძალისხმევაში მონაწილეობის პრობლემა.

მსოფლიოს მზარდი ურთიერთდამოკიდებულების პირობებში მიზანდა კვლავ დავადასტუროო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უდიდესი მნიშვნელობა. დარწმუნებული ვარ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლის აღორძინება და მისი მშვიდობისმყოფლური ფუნქციების გააქტიურება უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია კაცობრიობის ისტორიაში მშვიდობიანი პერიოდისაკენ წინსვლაში.

ვაჯამებ რა ზემოთქმულს, მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ ყველანი ვცხოვრობთ ერთ სახლში, ასზე მეტი ხალხის შვილები, ჩვენ-ჩვენი ეროვნული და კულტურული ტრადიციებით, განუმეორებელი თავისებურებებით. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტის პოსტის როლსა და დანიშნულებას ვხედავ იმაში, რომ ვამკვიდრებთ ქვეყანაში ეროვნულ თანხმობას, ურთიერთპატივისცემისა და კეთილმეზობლობის სულისკვეთებას. სამოქალაქო მშვიდობის პრინციპების დამკვიდრება, ხალხის ინტერესების გამოხატვა და დაცვა ჩემთვის, როგორც სსრ კავშირის პრეზიდენტისათვის, უმაღლესი მიზანი და წმინდა მოვალეობაა.

ყველაფერ იმაში, რაც დაკავშირებულია საპრეზიდენტო ხელისუფლების შესრულებასთან, ვერ წარმოიმიდგენია არ დაეყრდნო ჩვენს ხალხს, მის ნებას, ზნეობრიობას, სიბრძნესა და ინტელექტს, მის ჯანსაღ აზრს.

მე მაქვს მუშათა კლასის მხარდაჭერის იმედი, რომელსაც თავისი გადამწყვეტი წვლილი შეაქვს გარდაქმნის წინსვლაში.

მე მწამს საბჭოთა გლეხის — მიწის ნამდვილი ბატონ-პატრონის აღმშენებლობითი ძალა, რომლის შრომის განთავისუფლებით გადაწყვეტილ სასურსათო პრობლემას.

მე ოპტიმიზმით მივმართავ ჩემს აზრებსა და მზერას მეცნიერების და კულტურის მოღვაწეებისადმი, მთელი საბჭოთა ინტელიგენციისადმი, რომელმაც გადაწყვეტა და გადაწყვეტს ბარდაქმნის უმნიშვნელოვანეს ამოცანებს, რომლებიც მოითხოვს ინტელექტის დაძაბვასა და სულიერ ძლიერებას. დიდ იმედს ვამყარებ ახალგაზრდობაზე, შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებასა და მათის რეალიზაციაში ქალიშვილებისა და ჭაბუკების რეალურ მონაწილეობაზე, ახალგაზრდობის აღმშენებლობის ენერგიაზე.

მე მწამს, რომ ყოველთვის შეიმიძლია დავეყრდნო უფროსი თაობის სიბრძნეს და სიერთო საქმისათვის ცხოვრებისეული წლებით შემოწმებულ წუხილს, მის დაინტერესებას საბჭოების ხელისუფლების ავტორიტეტის განმტკიცებით.

მე მივმართავ იმათაც, ვინც პატიოსნად ასრულებს თავის მოვალეობას საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში და ქმნის ქვეყნის შიგნით შვიდობიანი გარდაქმნების მტკიცე გარანტიებს.

როგორც პრეზიდენტმა, მინდა ვუსურვო კომუნისტთა პარტიას — ქვეყნის ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ ძალას — წარმატებანი პლატფორმის რეალიზაციაში, რომლითაც იგი ეგებება თავის XXVIII ყრილობას. პარტიის მიერ გამოცხადებული საპროგრამო მიზანი — ჰუმანური, დემოკრატიული სოციალიზმი — შეესაბამება ხალხის ოცნებას, მის მისწრაფებას ცხოვრობდეს კარგ გახსნილ, დემოკრატიულ, სამართლიან და აყვავებულ საზოგადოებაში.

ძნელი დრო დაუდგა ჩვენს ქვეყანას. მაგრამ თუ ენერგიულად და ერთსულოვნად ვიმოქმედებთ, რა თქმა უნდა, დავძლევთ ამ სიძნელეებს.

უნდა უკუვაგდოთ შიში და გულგატეხილობა, ეიორშუნთა სკკუთარი ძალები და შესაძლებლობანი. ისინი კი უზარმაზარია. რუსი ხალხი და ყველა ხალხი, რომლებიც მასთან გაერთიანდნენ დიად მრავალეროვან სახელმწიფოში, შეძლებენ აღორძინონ თავიანთი საერთო სამშობლო. და აუცილებლად მიაღწევენ ამას ბარდაქმნისა და სოციალისტური განახლების გზით.

ამხანაგი სსრ კავშირის პრეზიდენტი

(დასასრული)

სობჩაკის სიტყვებმა სსრ კავშირის ბევრი სახალხო დეპუტატის შესაბამისი საპასუხო რეაქცია გამოიწვია.

გისმენთ და გამკვირვებია: რისთვის ვირჯებით ყველანი? — ასეთი სიტყვებით დაიწყო გამოსვლა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ნ. ი. რიჟკოვმა. იგი აღელვებული ლაპარაკობდა, და მთავრობის შეთაურის განწყობილება, როგორც ჩანს, დარბაზსაც გადაეცა: ყოველ შემთხვევაში, როდესაც მან გამოსვლა დაამთავრა, დარბაზში ტაშმა იქუხა. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გამოთქვამდა გაოცებას, რომ ამ ბოლო დროს ესოდენ გამეტებით ესხმიან თავს მთავრობას, წყალში უყრიან ყველაფერს, რასაც იგი აკეთებს. რაც შეეხება „ანტ“ კონცერნის შექმნას, დეპუტატმა მისი შექმნა მართებულად მიიჩნია: ეს ხომ ომისთვის გაკეთდა, რომ შესაძლებლობა გვქონოდა დაგვედო ბარტერული გარიგებანი — სახლვარგარეთ გაგვაყიდა წარმოების ნარჩენები, ზეგეგმითი პროდუქცია, და ამოგებული ფულით შეგვეძინა სახალხო მოხმარების საქონელი. რა არის აქ ცუდი?

მთავრობის მეთაურმა სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ შემდეგ მისმა ერთ-ერთმა მოადგილემ ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომელიც კოოპერატივს ნებას რთავდა გაეყიდა აგრეთვე სახალხო მეურნეობის დარგების, მათ შორის თავდაცვითი დარგების ზეგეგმითი პროდუქცია. იმ დროს ძნელი საფიქრელი იყო, რომ დოკუმენტში ჩაწერილი ასეთი ზოგადი ფრაზა გზას გაუხსნიდა მაქინაციებს ტანკებთან დაკავშირებით.

მაქინაციებისათვის ბრალეულებმა პასუხი უნდა აგონ სისხლის სამართლის წესით, თქვა ნ. ი. რიჟკოვმა, მაგრამ ამასთანავე კატეგორიულად უარყო მტკიცებანი, რომ ამ საქმეში მთავრობა იყო ჩარეული.

უნიადაგო ბრალდებათა ატმოსფეროში მთავრობა ნორმალურად ვერ იმუშავებს. მისდამი დამოკიდებულება ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მხარი დაუჭირა პრეზიდენტის ხელისუფლებას. ჩვენ, თქვა მან, ეს ნამდვილად გვჭირდება. მაგრამ დარწმუნებული ვარ: ვერავითარი ძლიერი პრეზიდენტი, პრეზიდენტის კაბინეტი ვერ იმუშავებს, თუ არ იმუშავა კიდევ ორმა შემადგენელმა ნაწილმა: მთავრობამ და საკანონმდებლო ორგანოების სახით. დადგენილია, რომ კანდიდატი არჩეულად ჩაითვლება, თუ მიიღებს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა საერთო რიცხვის ხმების ნახევარზე მეტს.

იწყება სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატურების დასახელება.

დეპუტატმა ვ. ა. ივაშკომ განაცხადა, რომ „ეს-ეს არის გამართულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის მეორე სხდომაზე დღეს ყრილობაზე მიღებული კანონის მესამე ნაწილის შესაბამისად პლენუმმა სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატად ერთხმად დასახელა მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი.“ დეპუტატმა ყრილობას სთხოვა მხარი დაუჭიროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ამ გადაწყვეტილებას.

დეპუტატთა ჯგუფის „კავშირის“ სახელით დეპუტატმა ვ. ი. ალკსნისმა განაცხადა, რომ ჯგუფის კრება ყრილობას სთავაზობს სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტზე ფარული კენჭისყრისათვის კანდიდატურების სიაში შეიტანონ ვადიმ ვიქტორის ძე ბაკატინი, მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი და ნიკოლოზ ივანეს ძე რიჟკოვი.

მ. ს. გორბაჩოვის კანდიდატურის დასახელებას მხარი დაუჭირეს დეპუტატებმა გ. ხ. პოხოდნიამ, ვ. გ. კულიკოვმა, ა. ბ. იაკოვლევმა, დ. ნ. კუზულტინოვმა, ი. რ. იაკუბოვმა, ვ. ი. ლახიცკიმ, ნ. ნ. ენგვერმა, ა. მ. მახალიევმა, ვ. ა. მარტიროსიანმა, ლ. ე. ბლიზნიუკოვმა, პ. გ. ბუნიჩმა, გ. ა. პოსიბეევმა, ო. ო. ვეზგელდიევმა და სხვებმა.

საბჭოთა სახელმწიფოში უმაღლეს პოსტზე ნ. ი. რიჟკოვი კანდიდატად დასახელეს დეპუტატებმა ვ. ი. დიკულმა და ბ. ვ. კრიჟკოვმა.

დეპუტატებმა ა. ვ. ზემსკოვამ, ა. გ. ჩორნიხმა მხარი დაუჭირეს წინადადებას სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატად დასახელა მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი. დეპუტატმა ყრილობას სთხოვა მხარი დაუჭიროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ გადაწყვეტილებას.

დეპუტატთა ჯგუფის „კავშირის“ სახელით დეპუტატმა ვ. ი. ალკსნისმა განაცხადა, რომ ჯგუფის კრება ყრილობას სთავაზობს სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტზე ფარული კენჭისყრისათვის კანდიდატურების სიაში შეიტანონ ვადიმ ვიქტორის ძე ბაკატინი, მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი და ნიკოლოზ ივანეს ძე რიჟკოვი.

მ. ს. გორბაჩოვის კანდიდატურა ჩვენი ბედი. პრინციპული და პრაქტიკული მნიშვნელობის ამ დოკუმენტებში ყოველივე ჩადებულის რეალიზაციისადმი კონტროლი აგრეთვე პრეზიდენტის კომპეტენციაში შედის.

ახალი აზროვნების პოლიტიკა სულაც არ ნიშნავს ჩვენი ინტერესის შენელებას განვითარებადი ქვეყნებისადმი. უცვლელია ჩვენი სოლიდარობა იმათთან, ვინც იბრძვის თანასწორი უფლებისათვის, სოციალური პროგრესისათვის, დემოკრატიისა და ადამიანის ღირსეული ცხოვრებისათვის.

აზია-წყნარი ოკეანის მიმართულებით თანამიმდევრულად უნდა განვახორციელოთ ვლადივოსტოკისა და კრასნოიარსკის ინიციატივები, გადავიყვანოთ ისინი კონკრეტული, საქმიანი ურთიერთობის სიბრტყეში.

ჩვენ მრავალი წლის მჭიდრო თანამშრომლობა გვაკავშირებს დიდ ინდოეთთან, კარგად განვითარდა თანამშრომლობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან.

ევროპასა და აზიაში სამშვიდობო გაერთიანებათა მშენებლობის პროცესები, ჩემი აზრით, ბოლოს და ბოლოს უნდა დაგვირგვინდეს უშიშროების ერთიანი სისტემით ევროპა-აზიის მთელ სივრცეზე.

სერიოზულად უნდა გავარკვიოთ სიტუაცია ახლო აღმოსავლეთში, განვაახლოთ ჩვენი აქტიური პოლიტიკა ჩვენთვის, მთელი მსოფლიო გაერთიანებისათვის ამ მნიშვნელოვან რეგიონში.

ჩვენს საგარეო-პოლიტიკურ კავშირურთიერთობაში სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს ლათინური ამერიკა. აქაც იქმნება შანსი ერთად გავზარდოთ საერთაშორისო განვითარების პოზიტიური ტენდენციები.

პრეზიდენტის თვალთახედვის არეში დღენიადაგ უნდა იყოს მსოფლიო-სამეურნეო კავშირურთიერთობის სისტემაში სსრ კავშირის ჩაბმისა და გარემოს დაცვისათვის საერთაშორისო ძალისხმევაში მონაწილეობის პრობლემა.

მსოფლიოს მზარდი ურთიერთდამოკიდებულების პირობებში მიზანდა კვლავ დავადასტუროო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უდიდესი მნიშვნელობა. დარწმუნებული ვარ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლის აღორძინება და მისი მშვიდობისმყოფლური ფუნქციების გააქტიურება უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია კაცობრიობის ისტორიაში მშვიდობიანი პერიოდისაკენ წინსვლაში.

ვაჯამებ რა ზემოთქმულს, მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ ყველანი ვცხოვრობთ ერთ სახლში, ასზე მეტი ხალხის შვილები, ჩვენ-ჩვენი ეროვნული და კულტურული ტრადიციებით, განუმეორებელი თავისებურებებით. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტის პოსტის როლსა და დანიშნულებას ვხედავ იმაში, რომ ვამკვიდრებთ ქვეყანაში ეროვნულ თანხმობას, ურთიერთპატივისცემისა და კეთილმეზობლობის სულისკვეთებას. სამოქალაქო მშვიდობის პრინციპების დამკვიდრება, ხალხის ინტერესების გამოხატვა და დაცვა ჩემთვის, როგორც სსრ კავშირის პრეზიდენტისათვის, უმაღლესი მიზანი და წმინდა მოვალეობაა.

ყველაფერ იმაში, რაც დაკავშირებულია საპრეზიდენტო ხელისუფლების შესრულებასთან, ვერ წარმოიმიდგენია არ დაეყრდნო ჩვენს ხალხს, მის ნებას, ზნეობრიობას, სიბრძნესა და ინტელექტს, მის ჯანსაღ აზრს.

მე მაქვს მუშათა კლასის მხარდაჭერის იმედი, რომელსაც თავისი გადამწყვეტი წვლილი შეაქვს გარდაქმნის წინსვლაში.

მე მწამს საბჭოთა გლეხის — მიწის ნამდვილი ბატონ-პატრონის აღმშენებლობითი ძალა, რომლის შრომის განთავისუფლებით გადაწყვეტილ სასურსათო პრობლემას.

მე ოპტიმიზმით მივმართავ ჩემს აზრებსა და მზერას მეცნიერების და კულტურის მოღვაწეებისადმი, მთელი საბჭოთა ინტელიგენციისადმი, რომელმაც გადაწყვეტა და გადაწყვეტს ბარდაქმნის უმნიშვნელოვანეს ამოცანებს, რომლებიც მოითხოვს ინტელექტის დაძაბვასა და სულიერ ძლიერებას. დიდ იმედს ვამყარებ ახალგაზრდობაზე, შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებასა და მათის რეალიზაციაში ქალიშვილებისა და ჭაბუკების რეალურ მონაწილეობაზე, ახალგაზრდობის აღმშენებლობის ენერგიაზე.

მე მწამს, რომ ყოველთვის შეიმიძლია დავეყრდნო უფროსი თაობის სიბრძნეს და სიერთო საქმისათვის ცხოვრებისეული წლებით შემოწმებულ წუხილს, მის დაინტერესებას საბჭოების ხელისუფლების ავტორიტეტის განმტკიცებით.

მე მივმართავ იმათაც, ვინც პატიოსნად ასრულებს თავის მოვალეობას საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში და ქმნის ქვეყნის შიგნით შვიდობიანი გარდაქმნების მტკიცე გარანტიებს.

როგორც პრეზიდენტმა, მინდა ვუსურვო კომუნისტთა პარტიას — ქვეყნის ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ ძალას — წარმატებანი პლატფორმის რეალიზაციაში, რომლითაც იგი ეგებება თავის XXVIII ყრილობას. პარტიის მიერ გამოცხადებული საპროგრამო მიზანი — ჰუმანური, დემოკრატიული სოციალიზმი — შეესაბამება ხალხის ოცნებას, მის მისწრაფებას ცხოვრობდეს კარგ გახსნილ, დემოკრატიულ, სამართლიან და აყვავებულ საზოგადოებაში.

ძნელი დრო დაუდგა ჩვენს ქვეყანას. მაგრამ თუ ენერგიულად და ერთსულოვნად ვიმოქმედებთ, რა თქმა უნდა, დავძლევთ ამ სიძნელეებს.

უნდა უკუვაგდოთ შიში და გულგატეხილობა, ეიორშუნთა სკკუთარი ძალები და შესაძლებლობანი. ისინი კი უზარმაზარია. რუსი ხალხი და ყველა ხალხი, რომლებიც მასთან გაერთიანდნენ დიად მრავალეროვან სახელმწიფოში, შეძლებენ აღორძინონ თავიანთი საერთო სამშობლო. და აუცილებლად მიაღწევენ ამას ბარდაქმნისა და სოციალისტური განახლების გზით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

ზართო საერთაშორისო აღიარება და ავტორიტეტი მოიპოვეს ზუსტ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მრავალ პრიორიტეტულ მიმართულებაზე ქართველმა მეცნიერებმა, ჭათმა სკოლებმა, მაგრამ ამ ბოლო დრამდე სამეცნიერო ხარისხების მოსაპოვებლად თავიანთი მაღალი რანმოეს დაცვა ან დადასტურება ჩვენს მეცნიერებს უხდებოდათ მხოლოდ ქვეყნის უმაღლეს საატესტაციო კომისიაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის მორიგ სხდომაზე, რესპუბლიკის ეროვნული განვითარების კონცეფციის შესაბამისად, გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა ამ დიდმნიშვნელოვანი პრობლემის რეალიზაციის გზაზე. რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიისა და სახალხო განათლების სამინისტროს წინადადებთ, თანხმობამ მიიღო დადგენილება საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრივი სამეცნიერო-საატესტაციო სისტემის შექმნის ღონისძიებათა შემუშავების შესახებ. იგი საშუალებას იძლევა შეფასდნენ და ატესტებული იყვნენ ყველა დონის სამეცნიერო კადრები, მიენიჭოთ მათ სამეცნიერო წოდებანი სსრ კავშირის უმაღლესი სამინისტროს საწარმოები უშვებენ. ამასთან დაკავშირებით პრეზიდიუმზე განხილულ და დამტკიცულ ამ სამინისტროს სისტემაში კაპიტალური მშენებლობის მიმდინარე სამეურნეო წლის გეგმა. დარგის ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციის დაჩქარებისათვის გამოიყო საჭირო სახსრები, დაისახა მსუბუქი მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის გამოძებნილ ღონისძიებანი.

სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა კულტურული მშენებლობის პრობლემებს, გეგმაზომიერად ხორციელდება წარსულის შესანიშნავი ტრადიციების აღორძინების, მშრომელთა ზნეობრივი და სულიერი გამდიდრების პოლიტიკა.

მიღებულია გადაწყვეტილება სენაკში სახელმწიფო დრამატული თეატრის შექმნის შესახებ. მას მიენიჭება ქართული სცენის სახელგანთქმული კორიფეს აკაკი ბაღრატიონის სახელი, რომელმაც თავისი პირველი ნაბიჯები ხელოვნებაში სწორედ ამ შემოქმედებითი ტრადიციებით მდიდარ ქალაქში გადადგა.

მალე ბოლო მოეღება კულტურის ობიექტების ხანგრძლივ მშენებლობებს რესპუბლიკის მრავალ რეგიონში. ეკონომიკაში უაღრესად რთული ვითარების მიუხედავად, მთავრობამ, გამონაკლისის წესით, გამოძებნა საიმისო სახსრები, რომ დამთავრდეს კულტურის სახლების მშენებლობა ასპინძაში, ახალციხეში, მესტიაში, მცხეთაში, ხარაგაულში, ჩოხატაურში, საკონცერტო დარბაზისა — ბათუმში, კინოთეატრისა — დმანისში, სამუსიკო სკოლებისა — ხაშურსა და საგარეჯოში, რადიოსა და ტელევიზიის სახლისა — სოხუმში, მთელი რიგი სხვა დიდმნიშვნელოვანი ობიექტებისა — თბილისში და რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში.

რესპუბლიკის სახოგადოებრივ ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა, მისი საერთაშორისო ავტორიტეტის განმტკიცების გზაზე ახალი ნაბიჯი იქნება ამა წლის მაისში „საქართველოს დღეები.“ მოწყობა

ქართული კულტურის სასიკეთოდ

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ამ ცოტა ხნის წინათ შეიქმნა იუნესკოს საქართველოს ხაბჭოს უცხოეთში მყოფ ქართველ მოღვაწეთა გრიგოლ რობაქიძის სახელობის ფონდი. მის მიზნებს, ამოცანებს, პერსპექტივებს „კომუნისტის“ კორესპონდენტს აცნობს ფონდის პასუხისმგებელი მდივანი, მწერალი ავთანდილ ჩხენკელი.

— მოგეხსენებათ, დემოკრატიისა და საჯაროობის მეოხებით ბევრი ძვირფასი სახელი დაგვიბრუნდა. დაგვიბრუნდნენ პიროვნებები, რომლებიც ბედის უკუღმართობამ, უსამართლობამ სამშობლოს დააცილა და კარგა ხანს მწირი ცნობები თუ მოგვეპოვებოდა უცხოეთში მათ ასავალ-დასავალზე, მოღვაწეობაზე. არადა, უკვე ნათლად გამოჩნდა, რომ ამ ადამიანებს ერთი დღეც არ უცხოვრიათ უსაქართველოდ, თუ რაიმე სასიკეთოს ქმნიდნენ, მხოლოდ სამშობლოს სახელით... მარტო გრიგოლ რობაქიძის, ვიქტორ ნოზაძის, მიხაკო წერეთლის, აკაკი პაპავის გახსენება რად ღირს.

და აი, უკვე საშუალება მოგვეცა, იუნესკოსთან შეთანხმებით, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, ფინანსთა სამინისტროს, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, კულტურის სამინისტროს და საქართველოს საზღვაო სანაოსნოს დიდი მხარდაჭერით, შეგვექმნა უცხოეთში მყოფ ქართველ მოღვაწეთა ფონდი.

მაღლობის მეტი რა გვეთქმის რესპუბლიკის ხელმძღვანელობის, მთავრობის მიმართ, რომლებმაც იმთავითვე გულთან ახლოს მიიტანეს ფონდის შექმნის საჭიროების საკითხი და ყოველგვარი დახმარება აღგვითქვეს.

ფონდის უმთავრესი მიზნები და გეგმებია: სხვადასხვა დროსა და ეპოქაში უცხოეთში მოღვაწე ქართველ მეცნიერთა, მწერალთა, ხელოვნების მუშაკთა შემოქმედებითი მემკვიდრეობის საქართველოს კულტურის სამსახურში ჩაყენება, მათი პირადი ცხოვრების ამსახველი დოკუმენტების დაცვა-შენახვა, უცხოეთში მცხოვრებ ქართველებთან კულტურული კავშირის აღდგენა-გაფართოება. მოგეხსენებათ, რომ ეს საშვილიშვილო საქმე საქართველოში წამოიწყო ბატონმა რეზო თაბუკაშვილმა, ეს იმ დროს, როდესაც მსგავსი ეროვნული საქმიანობა სულაც არ იყო საფრთხესა და უმადურობას მოკლებული. შემდგომში ბატონ რეზოს სხვა მიმდევრებიც გამოუჩნდნენ. ჩვენ, რა თქმა უნდა, ყველა მათგანის მხარდაჭერისა და დახმარების იმედი გვაქვს. მაგრამ ყველაფრის ჩამოტანასა და გამოცემას არა მარტო მორალური, არამედ იურიდიული გამართლებაც სჭირდება, სამწუხაროდ, ხშირად ირღვევა საავტორო და სამემკვიდრეო უფლებები, რაც, რა თქმა უნდა, არავის გვეპატიება. ფონდის ერთ-ერთი მიზანი ამ უფლებების დაცვაც გახლავთ.

ჩაფიქრებული გვაქვს უცხოეთში მოღვაწე მეცნიერთა, ექიმთა, ხელოვანთა მდიდარი გამოცდილების შეძლებისდაგვარად საქართველოში დანერგვა და მათი პროგრესული იდეების, მიღწევებისა და პროექტების გაზიარება.

ფონდს საზღვარგარეთ, კერძოდ, აშშ-ში, საფრანგეთში, გერმანიაში წარმომადგენლობები ექნება, ეს კი, ცხადია, კონტაქტებს გააადვილებს უცხოეთთან. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ უახლოეს დღეებში ფონდს საკუთარი პოლიგრაფიული ბაზა ჩამოუვა უცხოეთიდან, რაც საშუალებას მოგვცემს გამოვცეთ (თანაც, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე) მთელი „ემიგრანტული ლიტერატურა“ (სხვათა შორის, მოპოვებული გვაქვს ამის იურიდიული უფლება). გარდა ამისა, ჩვენ შეგვეძლება სხვადასხვა ბუკლეტებისა და გზამკვლევების გამოცემაც. აკი ვაპირებთ ტურიზმის გაფართოებას, რომელიც შესაფერის რეკლამასაც მოითხოვს... არცთუ შორეულ პერსპექტივაში ვფიქრობთ სასტუმროს მშენებლობასაც, რამეთუ უცხოეთიდან დროებით ჩამოსულ თანამემამულეს საკერძისი დახვედრაც უნდა... (ყველას ხომ არ ჰყავს აქ ახლო ნათესავები...).

ფონდი არ აპირებს მარტო ქველმოქმედებაზე იყოს დამოკიდებული. როგორც მოგახსენეთ, ჩვენ დიდი იმედი გვაქვს საკუთარი პოლიგრაფიისა. სხვათა შორის, აქ გამოცემული წიგნების ჰონორარი მობმარდება უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა ერთიანი მუზეუმის შექმნა-კეთილმოწყობას, ვთქვათ, გრიგოლ რობაქიძის, მიხაკო წერეთლის, ვიქტორ ნოზაძის და სხვათა მოღვაწეობის უკვდავყოფას...

საერთოდ, ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მიზანია თბილისში გავხსნათ უცხოეთში მყოფ ქართველ მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა ჩვენ ახლა ვდგებით ფეხზე, ამიტომ, ჯერჯერობით, შეიძლება შემოწირულობაზეც არ ვთქვათ უარი. მაინც იცოდეს ქართველმა საზოგადოებრიობამ, რომ ბანკში ჩვენი მიმდინარე ანგარიშის ნომერია 70000519, ხოლო სავალუტო ნომერი — 70000009.

გრიგოლ რობაქიძის სახელობის ფონდის პერსპექტივები

უკვე გაიმართა ფონდის დამფუძნებელთა პირველი სამუშაო სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ საფრანგეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები — ბატონი რამაზ პაპუაშვილი და ბატონი დანიელ სიბაშვილი. სხდომაზე ბევრი საკითხორტო საკითხი წამოიჭრა. აი, თუნდაც ასეთი: ერს, რა თქმა უნდა, ჰყავს „დიდი“ და „პატარა“ შვილები, მაგრამ ჩვენ ერთიანი საარქივო, საექსპოზიციო და საბიბლიოთეკო ცენტრ-მუზეუმი. შეიძლება ბევრმა არც იცის, რომ მარტო თბილისში 400-მდე მუზეუმი და რამდენიმე ათასი მემორიალური დაფაა. ალბათ არც ამდენი პანთეონი აქვს რომელიმე ცივილიზებულ ქვეყანას. გულდასაყვედური, მაგრამ ფაქტია, ამ სახლ-მუზეუმებს (ყველაზე გამოჩენილი პიროვნებებისასაც კი) ფაქტობრივად მნახველები არა ჰყავთ და ვერ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. რა დასამალია, უყაირათოდ იხარჯება ხაკმოდ სოლიდური ფინანსები. ჩვენს მიერ ჩაფიქრებული ცენტრ-მუზეუმი გააერთიანებს უცხოეთში მყოფ თანამემამულეთა ღვაწლსა და შემოქმედებას.

შექმნას საკუთარი საწარმოო-საპროექტო სამშენებლო გაერთიანება, რომელიც უცხოეთში მყოფ ქართველ თანამემამულეთა ხელშეწყობით იმუშავებს. გაერთიანება თვითონვე დააპროექტებს, ააშენებს და კეთილმოაწყობს რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონებში საცხოვრებელ სახლებს თუ სხვა აუცილებელ ობიექტებს. მთელი ფონდის მონაგები მოხმარდება საქართველოში დემოგრაფიული და კულტურული პირობების გაუმჯობესებას.

ფონდმა თავისთან სამოღვაწეოდ მიიწვია ინსამბლი „ჟურნალისტი“ და ყოველთვიური სტიპენდია დაუნიშნა დიდი იმედის მომცემ ნორჩ მხატვარს ნიკა შუბითიძეს.

უახლოეს დღეებში ფონდის დელეგაცია მიემგზავრება ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, რათა ხელშეკრულებები გააფორმოს და ჩამოიტანოს ის მდიდარი კულტურული და საარქივო საგანძური, რომლებიც ესოდენ სჭირდება ჩვენს ქვეყანას.

ხშირია შემთხვევა, როდესაც რესპუბლიკის მთელი რიგი უწყებები და დაწესებულებები საზღვარგარეთის ფირმებთან ქმნიან ერთობლივ საწარმოებს. სამწუხაროდ, ჩვენ არავითარი მონაცემები არ გვაქვს, თუ რა რა ღირს, რა ფასად უნდა ვიყიდოთ ან გავყიდოთ. უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები ფონდის საშუალებით საქართველოს ამ უძვირფასეს საინფორმაციო სამსახურსაც უანგაროდ სთავაზობენ.

რა თქმა უნდა, ჯერჯერობით ფონდს თავისი პრობლემები აქვს. თუნდაც უბინაობის საკითხი, მაგრამ აქაც რესპუბლიკისა და ქალაქის ხელმძღვანელობის დიდი დახმარების იმედი გვაქვს.

უკახოეთში

საქართველო ეროვნული ერების ორგანიზაციაში

15 მარტი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

მისიამ მუშაობა შეწყვიტა

15 მარტიდან მუშაობა შეწყვიტა ავღანეთსა და პაკისტანში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კეთილი მოსახერების მისიამ. ეს გამოაცხადეს ამ ორგანიზაციის ნიუ-იორკის შტაბ-ბინაში.

მისია შეიქმნა 1988 წლის 14 აპრილს ავღანეთის საკითხზე ჟენევის შეთანხმებათა შესრულების მეთვალყურეობისათვის. მის შემადგენლობაში შედიოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 40-მდე სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც განლაგებული იყვნენ ქაბულსა და პაკისტანში, აგრეთვე პაკისტან-ავღანეთის საზღვარზე. თავისი საქმიანობის მანძილზე მათ ორივე მხრიდან მიიღეს და განიხილეს რამდენიმე ასეული ნოტა, რომლებიც შეიცავდა საჩივრებს შეთანხმების დარღვევის თაობაზე. როგორც მრავალგზის აღუნიშნავს ავღანეთის რესპუბლიკის მთავრობას, პაკისტანი მუდამ აბრკოლებდა მისიის ეფექტიან მუშაობას. სხვადასხვა საბაბით ცდილობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლება არ შეეშვა პაკისტანის ტერიტორიის რაიონებში, სადაც განლაგებულია ავღანეთის ელექტრომისტული ოპოზიციის ბაზები.

საერთაშორისო გაერთიანების გენერალურ მდივანს ხავიერ პერეს დე კუელიარს მრავალჯერ აღუნიშნავს, რომ ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანა ჟენევის შეთანხმებათა მნიშვნელოვანი ასპექტი იყო. მაგრამ ასევე აუცილებელია, მისი აზრით, შეთანხმებანი მთლიანად განხორციელება. ჯერჯერობით კი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეფასებით, მათი შესრულება არადამაკმაყოფილებელია.

პერეს დე კუელიარის ამასწინანდელმა კონსულტაციებმა ჟენევის შეთანხმებათა ხელმომწერ მხარეებთან ცხადყო, რომ შეუძლებელია საჭირო თანხმობის მიღწევა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისიის მანდატის ვადის კიდევ ერთხელ გაგრძელებისათვის, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წრეებში აღნიშნავენ, მისიის საქმიანობის შეწყვეტა გამოწვეულია მისდამი ამერიკის შეერთებული შტატებისა და პაკისტანის უარყოფითი დამოკიდებულებით.

● **ისრაელი**

მთავრობის დაშლის შემდეგ

ლონდონი. ისრაელის კოალიციურ მთავრობაში ყოფილი პარტნიორები შემარჯვენე პარტიების ბლოკი „ლიკუდი“ და ისრაელის შრომის პარტია ცდილობენ თავისთვის უმცირესი დანაკარგებით დააღწიონ თავი სიტუაციას, რომელიც ქვეყანაში შეიქმნა კაბინეტის დაშლის შედეგად. როგორც რეიტერის საგენტო იერუსალიმიდან გვატყობინებს, ისრაელის შრომის პარტიაც და „ლიკუდიც“ ისწრაფვიან მოიპოვონ რელიგიური პარტიების შაარდაჟერი, რომლებსაც კენესეტში 18 ადგილი აქვთ 120-დან, რათა მოიგონ ხუთშაბათს მოსალოდნელი საპარლამენტო კენჭისყრა მთავრობისადმი ნდობის ვოტუმის საკითხზე. სწორედ ულტრა-ორთოდოქსული პარტიები, აღნიშნავს სააგენტო, განსაზღვრავენ საბოლოო ანგარიშით, შეძლებს თუ არა „ლიკუდის“ ლიდერი შამირი შექმნას ახალი კოალიცია თავისი ბლოკისა და რელიგიურ პარტიათა წარმომადგენლებისაგან, თუ იგი იაუდგება სათავეში მთავრობას, რომელიც მხოლოდ დროებით ისრულებს მოვალეობებს. შამირის აზრით, მას აქვს კენჭისყრის დროს „გადარჩენის“ შანსი, წერს რეიტერი, და ამასთანავე დასძენს: ოთხდან ორმა რელიგიურმა პარტიამ უკვე განაცხადა, რომ მხარს უჭერს მას.

● **ჩეხოსლოვაკია**

იცვლება ფულის ნიშნები

პრაღა. ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო ბანკის წინაშე ძნელი ამოცანა დგას. სახელმწიფოს სახელწოდების შეცვლის და სახელმწიფო გერბის ახალი გამოსახულების გამო უნდა შეიცვალოს მიმოქცევაში არსებული ფულის ნიშნები.

როგორც ჩეხოსლოვაკიის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, გამოსაშვებია 500 მილიონი ახალი ბანკნოტი და 2 მილიარდი მონეტა. ასეთი გიგანტური მოცულობა საჭიროებს პრაღის საგადასახადო საშუალებათა სახელმწიფო სტამბის და კრემნიცის სახელმწიფო ბაზინის რამდენიმე წლის მუშობას. ფულის ნიშნებისა და მონეტების შეცვლა თანდათანობით მოხდება.

● **რუმინეთი**

მიიღეს კანონი არჩევნების შესახებ

ბუქარესტი. საში სხდომის გაწმავლობაში ცხარე დისკუსიის შემდეგ ეროვნული თანხმობის დროებითმა საბჭომ ხმების დიდი უმრავლესობით მიიღო კანონი რუმინეთის პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნების შესახებ. ახალი კანონის თანახმად, რუმინეთის პრეზიდენტი შეიძლება დაასახელოს ამ პოსტზე ერთმა ან რამდენიმე პარტიამ.

ადგილების რიცხვი პარლამენტის დეპუტატთა პალატაში, ნათქვამია დოკუმენტში, 331-დან 387-მდე გაიზარდა. სხდომის მონაწილეებმა დაადასტურეს ადრე მიღებული გადაწყვეტილება ამა წლის 20 მაისს არჩევნების მოწყობის შესახებ.

პოლიტიკური ნაცხატი

„სხვას ვერაფერს უწოდებ, თუ არა ტრაგიკულს აფრიკის კონტინენტის მილიონობით ბავშვთა მდგომარეობას, რომლებიც უკიდურესად შიმშილობენ“ (გაზეთებიდან).

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡᲓᲐᲛᲘᲡᲘ მისიონერი შიმშილისაგან **დაუძლურებულ აფრიკელ ბავშვებს უჩვენებს ლოზუნგს, რომელზეც წარწერილია: „გადავარჩინოთ განადგურებისაგან ველური ტყის ბინადარნი — სპილოები და მარტორქები“...**

ნახატი „პიპლზ დეილი უორლდიდან“.

რეპორტაჟი

ქორწილები და აკვნები ომრავლდა ჯავახეთში

ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲕᲘᲗ ერთი წლის მანძილზე ჯავახეთში ჩამოსახლებულ აჭარელთა ოჯახებში თხუთმეტი ბავშვი დაიბადა. თხუთმეტი ქართველი შეეძატა საქართველოს.

უკანასკნელ სამ თვეში ათი ქორწილი იზეიმეს. გაბშირდა საპატარძლოს გატაცება, მაგრამ ამისათვის სამართალდაცვით ორგანოებს არავინ დაუსჯიათ...

— ნათქვამია: თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო, — ღიმილით გვეუბნება ჯავახეთის მკვიდრი დათო ბერიძე, — როცა აჭარელმა მალხაზ პაპიძემ სოფელ ჩუნჩხაში ბიბლიოთეკარი ლარისა მიქელაძე მოგვტაცა, გადაყვიტე სამაგიერო გადაეხადა და აჭარელი თამრიკო პაპიძე მოვიტაცე. ახლა ბედნიერი ოჯახისა და ახალი ბინის პატრონი ვარ. პირველი ქორწილის მეფე-პატარძალს — მალხაზსა და ლარისას — შვილთა სიმრავლეში შევეჯიბრები. ამაშიც არ დავუდებ ტოლს. საქართველოსათვის ყველაზე დიდი სიმდიდრე დღეს მრავალშვილიანი ოჯახია.

— როგორ ზამთრობთ, ჯავახეთის სუსხიანი ყინვა ხომ არ გაშინებთ? ვეკითხებით თამრიკო პაპიძეს.

— აჭარის მაღალმთიანეთში გაზრდილებს, სადაც ოთხ მეტრზე მეტი თოვლი გვინახავს, ჯავახეთის ზამთარი ვერაფერს დაგვაკლებს, — იცინის თამრიკო. — სასაყვედურო არა გვაქვს, კეთილმოწყობილი ბინები გადმოგვცეს. საწვავით უზრუნველყოფილი ვართ, ცოტა სასმელი წყალი გვიჭირს, მაგრამ მალე ესეც მოგვარდება. ლარისა მიქელაძეს შეეჯიბრებში ვიწევევ, ვხასოთ ვინ უფრო ადრე გახდება „გმირი დედა“. რატომ არ უნდა ვიზრუნოთ მრავალშვილიანი ოჯახების მოზრდილებისათვის. ჩვენთვის, ჩვენი შვილებისათვის გაპყავთ გზები, შენდება ბაგა-ბაღები, სკოლები, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, კულტურის ობიექტები.

— სოფელ ჩუნჩხაში ახლა საშუალო სკოლა გვაქვს, — ამბობს სკოლის ახალგაზრდა დირექტორი მალხაზ ბარაბაძე, — თუ ორიოდე წლის წინათ დაწყებით სკოლაში ექვსი მოსწავლე იყო, დღეს ორმოცდათი მოსწავლე გვყავს და მომავალში საგრძნობლად გაიზრდება მათი რიცხვი. სკოლას ოცი პედაგოგი ემსახურება. მათ შორის არიან ის ენთუზიასტები, რომლებმაც რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან მოაშურეს ჯავახეთს და სურვილი გამოთქვეს შეეტანათ მამუშავებლური წვლილი საქართველოს ამ ისტორიული მხარის — სამცხე-ჯავახეთის აღორძინებაში. მე მეუღლესთან ერთად მოვედი სკოლაში სამუშაოდ. ასევე ოჯახით ჩამოვიდა თბილისიდან ისტორიის მასწავლებელი ელგუჯა კრენტაშვილი, დაწყებითი კლასების პედაგოგი შორენე ტაბატაძე ხაშურიდან გვესტუმრა, მათემატიკოსი დავით კლდიაშვილი თერჯოლის რაიონიდან არის, ფილოლოგი ციური გელაშვილი — ბორჯომიდან. ჩვენ შორის ცხრა პედაგოგი აჭარელია. ერთი ოჯახივით ვცხოვრობთ, ერთი საზრუნავით ვსულდგმულობთ, საქართველოს ძლიერებისათვის ვლოცულობთ. მესხეთში, კერძოდ, ახალციხეში თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალის გახსნის თაობაზე მიღებულმა გადაწყვეტილებამ უზომოდ გაგვახარა. ეს ჭეშმარიტად პატრიოტული, მამულიშვილური ღონისძიებაა. ჩვენი აღზრდილები ამ ფილიალის მომავალი სტუდენტები იქნებიან.

— გაზაფხული გვესტუმრა ჯავახეთში, მეტი ენერგიით ამოქმედდნენ მშენებლები. საქმე ბევრი აქვთ. შარშან მათ 266 სახლი გადასცეს აჭარიდან ჩამოსახლებულებს, ასორმოცამდე სახლი მშენებლობის პროცესშია. სულ ახალ-ქალაქის რაიონში ხუთასი თანამედროვე სახლის აშენება გვქონდა დაგეგმილი, მაგრამ გამოირკვა, რომ ეს საკმარისი არ არის და საჭიროა ამ რიცხვის გაზრდა. ჩვენ უხერხულად ვგრძნობთ თავს ჯავახეთის სოფლების მკვიდრი მოსახლეობის წინაშე. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ მიწურებში ცხოვრობს. ამის შეუფასებლობა დაუშვებელია. ყველაფერი უნდა ვიღონოთ მათი საყოფაცხოვრები პირობების გასაუმჯობესებლად. როგორც აჭარის, ასევე ჯავახეთის მკვიდრნი დედა-საქართველოს თანაბარუფლებიანი, თანასწორი შვილები არიან,— გვითხრა აჭარელთა ჩამოსახლების შტაბის ხელმძღვანელმა, ხუროლის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ არჩილ ქადაგიძემ.

ახალქალაქის რაიონიდან იმედის რწმენით ვბრუნდებით. ცოცხლდება ბერისაგან მრავალჯერ გადამწვარი, აოხრებული მხარე. აღორძინებას იწყებენ მიტოვებული სოფლები. აქ სახლდებიან ქართველები. მომრავლდა ქორწილები და აკვნები...

რობერტ ცუცქირიძე,
საქინფორმის კორ.
ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘ.

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲫᲘᲒᲚᲔᲑᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲘᲪᲐᲕᲡ

ᲕᲘᲜ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔᲐ, ᲕᲘᲜ ᲛᲢᲔᲠᲘ...

ᲩᲕᲔᲜ მიწა-წყალზე მატერიალური თუ სულიერი ყოფის არაერთი შესანშნავი ძეგლია შემონახული, რომელთაც ღირსეული ადგილი უკავიათ მსოფლიო კულტურის საგანძურში. თითოეულ მათგანს ქართველი ერი თავის ისტორიის მნიშვნელოვან მოვლენებს უკავშირებს, და ამდენად, მათი მოვლა-პატრონობაც ჩვენი წმიდათაწმიდა ვალია ქვეყნისა და ხალხის, მომავლის წინაშე.

სწორედ ამ მიზნით, საქართველოს პროკურატურამ შეამოწმა რესპუბლიკაში ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მდგომარეობა, რამაც საზოგადოებრიობის ფართო ზამოხმაურება ჰპოვა.

სამწუხაროდ, ამ შემოწმებისას „საქართველოს სსრ ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ“ კანონის არაერთი დარღვევა გამოვლინდა.

დადგინდა, რომ საქართველოს სსრ ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს, ძეგლთა დაცვის რესპუბლიკური საზოგადოების პრეზიდიუმის, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომთა მხრივ მუდამ როდი ხდება ძეგლთა ეფექტური გამოყენება მეცნიერული შესწავლისა და პროპაგანდისათვის, მათი დაცვა გარეშე პირთა ხელყოფისა და დაზიანებისაგან, მოსახლეობის ფართო ფენების ჩაბმა ძეგლთა მოვლა-პატრონობასა და მათს სარესტავრაციო სამუშაოებში.

არც თუ იშვიათია ძეგლთა გამოყენება დამხმარე სათავსოებად, საწყობებად და სხვადასხვა სამეურნეო მიზნებისათვის.

ხაშურის, რაიონის სოფელ ხცისის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში წლების განმავლობაში მოთავსებული იყო კოლმეურნეობის საწყობი, ხოლო ზემო ჭალის ამავე სახელწოდების ეკლესიაში პურის საცხობი. მხოლოდ პროკურატურის ჩარევის შედეგად გამოთავისუფლდა აღნიშნული ეკლესიები.

ქუთაისში, XIX საუკუნის ძეგლში (ყოფილი საგუბერნიო სასამართლოს შენობაში) 50-იან წლებში სსრ კავშირის ხელოვნებათმოძმეობლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სამინისტროს სპეციალურმა საკონსტრუქტორო ბიურომ დაიდო ბინა, დღეს კი მძლავრი დაზგა-დანადგარებისგან ზიანდება იგი; საფიჩხიის სასაფლაოს ტერიტორიაზე მდებარე ეკლესიაში მოთავსებული იყო ქუთაისის საწესჩვეულებო მომსახურების კომბინატის საზეინკლო საამქრო, XIX საუკუნის დასაწყისის ძეგლში (ამაღლების ეკლესიაში) კი ბიბლიოთეკა. ქალაქის პროკურატურის მიერ გატარებული საპროკურორო რეაგირების. ღონისძიებათა შედეგად ორივე ეკლესია გამოთავისუფლდა.

დუშეთის რაიონში შუა საუკუნეებში აგებულ ძეგლში (ზეადიჯრის სასახლეში) მოთავსებულია საშუალო სკოლა, შენობის ნაწილი კი კერძო პირს უკავია. არადა, ძეგლი ავარიულ მდგომარეობაშია (!). ბულაჩაურშიც კერძო პირს დაუკავებია ასევე შუა საუკუნეების ძეგლის (ხიმშიანთ სასახლის) ნაშთები და ისტორიული მარანიც დაუზიანებია.

სოფელ დიღომში მდებარე შუა საუკუნეების ძეგლში (ეკლესიაში) მოთავსებული იყო პურსაცხობი, რომელიც, როგორც იქნა, გადაიტანეს, მაგრამ... დაბა წყნეთში მდებარე ეკლესიაში კვლავ აცხობენ პურს. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1988 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილებით კი გამოიყო მიწის ნაკვეთი ახალი პურსაცხობის ასაშენებლად, მაგრამ საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტრო აჭიანურებს ამ საკითხს.

ცხინვალში საოლქო მუზეუმის საწყობად გამოუყენებიათ მე-18 საუკუნის ძეგლი — ღვთისშობლის ეკლესია, რომელსაც 1987 წელს ჩაუტარდა რესტავრაცია, ხოლო მე-9 საუკუნის ძეგლი — წმინდა გიორგის ეკლესია — კინოგაქირავების კახტორის საწყობად უქცევიათ!..

ასეთი ფაქტები მრავლადაა.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები ყოველთვის ვერ უზრუნველყოფენ მათს ტერიტორიაზე არსებული ისტორიისა და კულტურის ძეგლთა გამოვლენას, აღრიცხვას, დაცვასა და გამოყენებას; არ ახდენენ საზოგადოების ფართო ფენების ჩაბმას ძეგლთა დაცვის, გამოყენებისა და პროპაგანდის ღონისძიებებში; ვერ უწევენ სათანადო ორგანიზაციას მათზე საწარმო-დაწესებულებებისა, თუ ცალკეულ უწყებათა შეფობას, რის შედეგადაც მრავალი ისტორიული ძეგლია ბედის ანაბარად მიტოვებული.

შემოუღობავი და გადაუხურავია ქობულეთის რაიონის სოფელ ლეღვანი არსებული ანტიკური ხანის ძეგლი — რკინის სადნობა; ამავე რაიონში ჭახათიხნოს საავტომობილო გზის მშენებლობისას მიწით დაიფარა შუა საუკუნეების ძეგლი — საბაურის თაღოვანი ხიდი; დაზიანებული და დაუყოვნებლივ შესაკეთებელია ოზურგეთის რაიონში მდებარე V საუკუნის ძეგლი ვაშნარის ბაზილიკა; ანალოგიურ მდგომარეობაშია მე-17 საუკუნის ძეგლები — ციხისფერდის ეკლესია (გურიანთის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე) და კონჭკათის მონასტერი; მე-9 საუკუნის ძეგლის — ლიხაურის ეკლესიის — საძირკველი მორღვეულია და თუ დროზე არ ემველა, კედლებიც ჩამოიქცევა; უპატრონოდაა მიტოვებული 1978 წელს რესტავრირებული ტყვირის ეკლესია (აბაშის რაიონი).

სახალხო დეპუტატთა აღმასკომებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა, ცალკეული მოქალაქენი ხშირად უხეშად არღვევენ ძეგლთა დაცვითს ზონებს, რაც გარკვეულ ზიანს აყენებს და აფერხებს მათს კვლევასა და გამოყენებას.

წლების მანძილზე ჭიანურდება ბაგრატის ტაძრის მახლობლად მდებარე ინდივიდუალური სახლებისა და დამხმარე სათავსოების აღება. არადა, ისინი, მეცნიერული მონაცემებით, IV-V საუკუნეების ციხე-ქალაქის ნანგრევებზეა დაშენებული. ამის გამო ქუთაისის არქეოლოგიურ ექსპედიციას ფართო ფრონტით ვერა და ვერ გაუშლია არქეოლოგიური სამუშაოები.

შემოწმებამ ისტორიისა და კულტურის ძეგლთა სარესტავრაციო სამუშაოების გაჭიანურების შემთხვევებიც გამოავლინა: 15 წლის წინ დაიწყო და გაუმართლებლად გაჭიანურდა ხაშურის რაიონის სოფელ წრომში იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის (VII ს.) რესტავრაცია, სოფელ ხცისში კი 1977 წელს დაიწყო და 1981 წელს შეწყდა XI საუკუნის ძეგლის — წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის. რესტავრაცია, რის გამოც იგი განადგურების პირამდეა მისული; 2 წელზე მეტია ჭიანურდება სურამის ციხის რეკონსტრუქცია; ანალოგიურ შემთხვევებს ადგილი აქვს სიღნაღის, ბორჯომისა და სხვა რაიონებში.

სარესტავრაციო სამუშაოების უხარისხოდ ჩატარების შემთხვევებიც როდია იშვიათი.

ამგვარმა რესტავრაციამ უარეს მუშაოთა წარმოებისას ძველი წელთაღრიცხვის V-IV საუკუნეების სამაროვანი დაზიანდა სოფელ ბაზალეთის ტერიტორიაზე.

მოუწესრიგებელია ძეგლთა ზუსტი, მეცნიერულად დასაბუთებული ნუსხების შედგენის საკითხი, ყველგან როდია ჩატარებული მათი სრული პასპორტიზაცია.

მაგალითად, ქუთაისის სპეციალურ სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნოსა და ქალაქის ისტორიული ნაწილის კონსერვაციის, გამოყენებისა და რესტავრაცია-რეკონსტრუქციის საწარმოო კომბინატს დღემდე არ გაჩნია რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის ისტორიისა და კულტურის ძეგლთა სიები, ხოლო ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონის ინსპექციისა და ქუთაის-გელათის ხელოვნებისა და ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის ადგილობრივი მნიშვნელობის ძეგლთა სიები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. უფრო მეტიც, ორის შემთხვევები, როცა ერთი და იგივე ძეგლი შეტანილია როგორც ადგილობრივი, ასევე რესპუბლიკური მნიშვნელობის ძეგლთა სიაში. ასეა აღრიცხული ხიბულის ქუჩის 1 ჩიხში მდებარე მთავრობანგელოზის ეკლესია, ხოლო მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ძეგლი (ქალაქის ყოფილი საგუბერნიო სასამართლოს შენობა) და მე-20 საუკუნის დასაწყისში აგებული საფეიჩიის სასაფლაოს ეკლესია. მიუხედავად მათი არქიტექტურული და ისტორიული ღირებულებისა, არც ერთ სიაში არ იყო მოხვედრილი.

შემოწმების პროცესში რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პროკურორების მიერ ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებში შეტანილ იქნა წარდგინებები გამოვლენილ დარღვევათა აღმოსაფხვრელად, რესპუბლიკის პროკურატურის, მიერ კი — ძეგლთა დაცვის სამმართველოსა და ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმში. რესპუბლიკის ყველა ქალაქისა და რაიონის პროკურორს დაეგზავნა სათანადო მითითებანი ამ სფეროში საპრკურორო ზედამხედველობის გაძლიერების მიზნით, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს კი ინფორმაცია, შესაბამისი წინადადებებით — ძეგლთა დაცვის საქმეში არსებულ დარღვევათა აღმოსაფხვრელად.

რესპუბლიკის პროკურატურას მომავალშიც განზრახული აქვს ანალოგიური შემოწმებების ჩატარება, საზოგადოებრიობას ვთხოვთ აღმოგვიჩინოს დახმარება ამ საშვილიშვილო საქმეში, მოგვაწოდოს ინფორმაცია კანონის დარღვევის კონკრეტული ფაქტების შესახებ, რათა საერთო ძალისხმევით მომავალ თაობებს შევუნარჩუნოთ ჩვენი ისტორიის სწორუპოვარი ძეგლები.

თენგიზ მახარაძე,
რესპუბლიკის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი;
კახა კობერიძე,
საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი.

▼▼

ავტორთა თხოვნით კუთვნილი მონორარი გადაერიცხება საქართველოს დემოგრაფიულ ფონდში.

ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲬᲝᲓᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით:

ქართული ეროვნული ხალხური შემოქმედების განვითარება-პოპულარიზაციაში თვალსაჩინო წვლილისათვის საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის „რუსთავის“ ქორმაისტერს ბადრი ამირანის ძე თოიძეს მიენიჭა „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდება.

ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში დიდი წვლილისათვის რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრის დამდგმელ რეჟის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოვნების მარშრუტებით

პიესა ოკეანის გაღმა მიემგზავრება

ახალი „ამერიკა-საბჭოთა კავშირის თეატრალური ინიციატივის რეკომენდაციით, ახალგაზრდა ქართველი დრამატურგის გიორგი გამსახურდიას ახალი პიესა „ქარი მუშტში“ სცენურ სიცოცხლეს შეიძენს ილინოისის შტატის (ამერიკის შეერთებული შტატები) ბრედლის უნივერსიტეტის მეიერ ჯაკობსის თეატრში. პიესის დასადგმელად მიწვეულია საქართველოს რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის პროფესორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ავქსენტი გამსახურდია. ამ მოგზაურობის სპონსორი გახდა საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი.

„ქარი მუშტში“ გიორგი გამსახურდიას მეორე პიესაა. ორი წლის წინათ შედგა მისი, როგორც დრამატურგის დებიუტი პიესით „გვირილები“, რომელიც დადგა რუსთაველის დრამატულმა თეატრმა. რეჟისორ თამაზ მესხის მიერ დადგმულმა სპექტაკლმა მაშინ პოპულარობის თავისებური რეკორდი დაამყარა. პრემიერის დღიდან ექვსი თვის მანძილზე ეს სპექტაკლი დაახლოებით ორმოცჯერ დიდგა. ამ, ერთი შეხედვით კამერულ დრამაში, რომელიც ერთი ოჯახის ფარგლებს არ სცილდება, დასმულია ზოგადსაკაცობრიო ეზოერადობის პრობლემები. ალბათ ამით შეიძლება აიხსნას სპექტაკლისადმი მაყურებელთა ესოდენ ფართო რეზონანსი.

თავის ახალ ნაშუშევარში — პიესაში „ქარი მუშტში“, რომელიც სრულიად განსხვავებული მხატვრული მახერით არის დაწერილი, (სხვათა შორის, ამ პიესამ მიიღო დიპლომი ახალგაზრდობის შესახებ დაწერილი საუკეთესო ნამუშევრისათვის. ეს კონკურსი გამოაცხადეს სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ და სსრ კავშირის მწერალთა კავშირმა), ავტორი აყენებს თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებს. ეს პიესა დადგეს სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის ქართულმა თეატრმა და თბილისის ჯ. მარჯანიშვილის სახელობის აკადემიურმა თეატრმა.

გვინდა გვჯეროდეს, რომ სოხუმის და მარჯანიშვილის თეატრების სპექტაკლები, აგრეთვე ამ პიესის დადგმა ამერიკის სცენაზე, წარმატებას მოიპოვებს.

სულ ახლახან გიორგი გამსახურდიამ დაასრულა მუშაობა კიდევ ერთ დრამატულ ნაწარმოებზე, რომლის სახელწოდებაა „განაჩენი: თავისუფლება“. ავტორის თქმით, ეს პიესა არის ადამიანის სწრაფვა თავისუფლებისადმი, რომელიც ძნელად გვიძლევა და რომლის დაკარგვა ადვილად შეიძლება. მთავარია თავბრუ არ დაგვახვიოს შეძენილმა თავისუფლებამ.

სექტემბრის დამლევს სპექტაკლის „განაჩენი: თავისუფლება“ პრემიერა გაიმართება მოსკოვის სახელმწიფო დრამატულ თეატრში „დრამატურგი“. სპექტაკლს დგამს თბილისიდან ჩასული დამდგმელთა ჯგუფი.

(საქინფორმი).

მკვლევარის აღიარება

ქართველი ექიმი არჩეულია მსოფლიო ასოციაციის წევრად

სასიხარულო ცნობა მიიღო აშშ-დან საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტის კლინიკური ჰეპატოლოგიის განყოფილების გამგემ, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა დავით დუგლაძემ — იგი არჩეულია ჰეპატო-პანკრეატობილიარული ქირურგიის მსოფლიო ასოციაციის წევრად.

რით დაიმსახურა ქართველმა ექიმმა ასეთი პატივი?

ეს 45 წლის ქირურგი და მეცნიერი 58 სამედიცინო ნაშრომის ავტორია, რომელთა ნაწილიც გამოქვეყნებულია საფრანგეთში, გფრ-ში, შვეიცარია, ავსტრალიაში. მისი სადოქტორო დისერტაცია „ახალშობილთა ღვიძლის გადანერგვა ზრდასრულ რეციპიენტებში“ ტრანსპლანტოლოგიაში სრულიად ახალ მიმართულებას ეძღვნება, პირველად იქნა ნაჩვენები ამ ოპერაციის მიზანშეწონილობა და შესაძლებლობა ღვიძლის მწვავე უკმარისობის სამკურნალოდ. დავით დუგლაძემ დაამუშავა როგორც ოპერაციული ტექნიკა, ისე მედიკო-ბიოლოგიური ასპექტები, მეცნიერულად დაასაბუთა მისი უპირატესობა ზრდასრული ღვიძლის გადანერგვასთან შედარებით, ის რომ ახალშობილთა ღვიძლის გამოყენება მნიშვნელოვნად აფართოებს პოტენციურ დონორთა წრეს. ტრანსპლანტოლოგიაში ამ ახალი მიმართულების შემქმნელი ეტაპი ეყო ახალშობილთა ღვიძლის უჯრედების გადანერგვა ღვიძლის მწვავე უკმარისობის მკურნალობის მიზნით. დ. დუგლაძემ პირველმა დაადგინა, რომ გარდაცვლილი ახალშობილის ღვიძლიდან გამოყოფილი უჯრედები გადანერგვისას ანდენს ავადმყოფის დაზიანებული ღვიძლის ფუნქციურ კომპენსაციას და მნიშვნელოვნად აჩქარებს დაზიანებული ორგანოს აღდგენას.

გადანერგვისათვის ახალშობილთა ორგანოების გამოყენების იდეა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს უროლოგიისა და ნეფროლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორ ლაურ მანაგაძეს ეკუთვნის. 70-იან წლებში იგი ქირურგიის ინსტიტუტში ტრანსპლანტაციის ლაბორატორიის ედგა სათავეში. სწორედ ამ ლაბორატორიაში დაიწყო ამ ახალი მიმართულების დამუშავება პროფესორების ლაურ მანაგაძისა და გიორგი იოსელიანის ხელმძღვანელობით. იქ დამუშავდა არა მარტო ახალშობილთა ღვიძლის, არამედ თირკმელების გადანერგვის იდეაც. ცდები წარმატებით დაგვირგვინდა, რამაც მკვლევარები ღვიძლის უჯრედების ტრანსპლანტაციის შესაძლებლობამდე მიიყვანა. დ. დუგლაძემ შემოქმედებითად გააგრძელა თავისი მასწავლებლების წამოწყებული საქმე.

ღვიძლის უკმარისობის მკურნალობა დღეს ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა მსოფლიო მედიცინაში, ვინაიდან ხელოვნური ღვიძლი ჯერჯერობით შექმნილი არ არის. ღვიძლის უჯრედების ტრანსპლანტაცია, პირველად მსოფლიოში, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტში იქნა ათვისებული. მისმა ავტორებმა მიიღეს მკურნალობის ამ სრულიად ახალი მეთოდის საავტორო უფლება.

3-8 ივნისს ლონდონში ჰეპატო-პანკრეატო-ბილიარული ქირურგიის მსოფლიო ასოციაციის მესამე საერთაშორისო კონგრესს მართავს. მასში ეკრთპისა და ამერიკის აღიარებულ მედიკოსებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს ჩვენი თანამემამულე დავით დუგლაძე. მისი მოხსენება „ღვიძლის უჯრედების გადანერგვა“ ერთგვარად შეაჯამებს არა მარტო საკუთარ, არამედ საერთოდ ქართველ მკვლევართა მიღწევებს ამ მიმართულებით.

ალექსანდრე ალექსიშვილი.

საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტისაგან

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტი შეუდგა ნაშრომების მიღებას 1991 წლის პრემიების მოსაპოვებლად. ნაშრომები წარმოდგენილი უნდა იქნეს 1991 წლის 1 ოქტომბრამდე.

ნაშრომები კომიტეტში უნდა წარმოადგინოთ შემდეგი მისამართით: 380008, თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 52, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, მეხუთე სართული, ოთახი 525. ტელეფონები: 99-93-29, 93-88-72.

აქვე შეგიძლიათ მიიღოთ ცნობები პრემიის მოსაპოვებლად ნაშრომების წარდგენისა და გაფორმების შესახებ.

ამინდი

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ზოგან ნალექი, მთებში თოვლი, მაღალმთიანეთში ზვასაშიშროება, დასავლეთის ქარი 9-14 მეტრი წამში, ტემპერატურა — ბარში ღამით მინუს 3 — პლუს 2, დღისით 5-10 გრადუსი სითბო, მთებში ღამით 5-10 გრადუსი ყინვა, დღისით 1-6 გრადუსი სითბო, მაღალმთიანეთში 10-15 გრადუსი ყინვა, დღისით 0 — მინუს 5 გრადუსი.

თბილისში: ცვალებადი მოღრუბლულობა, ჩრდილო-დასავლეთის ქარი 9-14, ქალაქის გარეუბნებში 17-22 მეტრი წამში, ტემპერატურა — ღამით მინუს 2 — პლუს 1, დღისით 7-9 გრადუსი სითბო.

თბილისელთაგან: ცოტას თუ ეცოდინება, რომ ოდესღაც (არც თუ ისე შორეულ წარსულში) ჩვენი ზოოლოგიური პარკის გამგებლობაში, მისი პერსპექტიული განვითარებისათვის, 120 ჰექტარამდე მიწის ფართობი იყო. ეს ტერიტორია გმირთა მოედნიდან ვერეს ხეობის გასწვრივ გურამიშვილის ქუჩამდე ვრცელდებოდა. დღეს კი ზოოლოგიური პარკის ტერიტორია 6 ჰექტარს თუ შეადგენს, ათვისებული კი 4 ჰექტარზე ნაკლებია.

ზოოლოგიური პარკის ტერიტორიის „ინვესტიციებ“ საბინაო მშენებლობით დაიწყო, დაადგირგვინა კი საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის შენობებისთვის მიწის გამოყოფამ. მომხდარის მიზეზი, როგორც ჩანს, არა მარტო ზოოპარკის მიმართ უყურადღებობა იყო, არამედ ისიც, რომ ადრე ქალაქისა თუ რესპუბლიკის მესვეურთ საერთოდ არ ჰქონიათ გაცნობიერებული ზოოლოგიური პარკის კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქცია.

თბილისის ზოოლოგიური პარკის მომავალზე საუბრის დაწყებამდე მკითხველს ერთი ინფორმაცია უნდა მივაწოდო. სანიტარული ნორმების მიხედვით, ზოოლოგიური პარკის საზღვარსა და ქალაქის შენობათა შორის „ნეიტრალური“, ეგრეთწოდებული სანიტარული ზოლი უნდა არსებობდეს, რომლის სიგანე, წესით, დაახლოებთან ას მეტრამდეა. ახლა კი ზოოლოგიური პარკის ტერიტორიაზე შემოჭრილი შენობებიდან წარმოსახვით გავავლოთ ეს აუცილებელი სანიტარული ზოლი. აღმოჩნდება, რომ ზოოლოგიური პარკისათვის ადგილი აღარ დარჩენილა. ლაპარაკიც კი ზედმეტია იმაზე, რომ მას განვითარების აღარავითარი პერსპექტივა არ გააჩნია, ამიტომ სავსებით სამართლიანად დაისვა ზოოლოგიური პარკის სხვა ტერიტორიაზე გადატანის საკითხი.

ზოოლოგიური პარკისთვის ტერიტორიის შერჩევა თითქმის 15 წელიწადია გრძელდება. პირველად მისი განლაგება ლისის ტბის მიდამოში გადაწყდა და დაიწყო კიდეც ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების დამუშავება. ამ საქმეს სათავეში ცნობილი ქართველი არქიტექტორი, აწ განსვენებული ბატონი გივი მელქაძე ჩაუდგა. მოხდა ჩვენი სინამდვილისთვის უჩვეულო რამ — ტექნიკურ-ეკონომიკურმა დასაბუთებამ უარყო ლისის ტბის ვარიანტი, როგორც უვარგისი. შესრულებული სამუშაოს ავტორის მიუკერძოებლობამ და მაღალმა პროფესიულობამ თავიდან აგვაცილა მოსალოდნელი შეცდომა.

პარალელურად ზორცის შესხმა დაიწყო ნოდარ დუმბაძის იდეამ, მდინარე ვერეს ხეობაში ბავშვთა ქალაქის შექმნის შესახებ. 1980 წლისათვის დამტკიცდა კიდეკაც „მზიურის“ გენერალური გეგმა, რომელშიც ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი ზოოლოგიურ პარკს ჰქონდა მიჩენილი. ეს ადგილი მდებარეობს უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსიდან 3 კილომეტრით ზემოთ მდ. ვერეს ხეობაში. ამ ტერიტორიის რელიეფი და კლიმატური პირობები ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო ზოოლოგიური პარკის შექმნის გარანტიას იძლეოდა. თითქოს იმძლავრმა საქმეა აზრმა, 1985 წელს მთავრობის დადგენილებაც კი გამოვიდა ზოოპარკის „მზიურის“ ტერიტორიაზე განლაგების შესახებ. მაგრამ გაუგებარი მიზეზების გამო ეს დადგენილება გაუქმდა და, როგორც ზმირად ხდებოდა ხოლმე, სპეციალისტების აზრის გაუთვალისწინებლად — გადაწყდა ზოოლოგიური პარკის კრწანისის ტყე-პარკის მიდამოში განლაგება.

მრავალი წლის შემდეგ, მხოლოდ ამა წლის 9 თებერვალს, ქალაქის მერთან ბატონ ირაკლი ანდრიაძესთან თბილისის ბოლოს და ბოლოს მოისმინეს და ყურად იღეს სპეციალისტთა აზრი ზოოლოგიური პარკისთვის შესაფერისი ტერიტორიის შერჩევის თაობაზე.

ცხოველთა სამყაროს წარმომადგენელთა კატასტროფული შემცირების გამო მსოფლიოში არსებული ზოოლოგიური პარკების უპირველესი დანიშნულების მიმართ წაყენებული მოთხოვნები მკვეთრად შეიცვალა. დღეს ზოოლოგიური პარკების ძირითადი დანიშნულება გახდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის წარმართვა იმ ვიათი და გადაშენების პირას მისული ცხოველების გენოფონდის შესაქმნელად. ცხადია, რომ ამ დანიშნულებასთან ერთად ზოოლოგიურმა პარკმა მიტად მნიშვნელოვანი — კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციაც უნდა შეასრულოს.

ზოოლოგიური პარკისთვის ახალი ტერიტორიის შერჩევისას აუცილებელია შემდეგი გადამწყვეტი მოთხოვნების გათვალისწინება: 1. ტერიტორიის რელიეფი და კლიმატური მახასიათებლები; 2. ატმოსფეროს გაჭუჭყიანების მინიმალური დონე; 3. ეპიზოოტიების აღმოცენების სიმშრალის გამორიცხვა. 4. ზოოლოგიური პარკის ბინადართათვის შემაწუხებელი ფაქტორების სიმცირე.

ამ მოთხოვნების გათვალისწინებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ცხოველების ნორმალური არსებობისა და გამრავლებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად. ჩვენს სინამდვილეში კიდევ ერთი რამ არის გასათვალისწინებელი: მოსწავლე ახალგაზრდობისთვის ერთიანი ბუნებადაცვითი აღზრდის ცენტრის შექმნისა და თბილისის უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტისათვის სასწავლო-საწარმოო ბაზის შექმნის აუცილებლობა. ეს ყველაფერი მეტად მნიშვნელოვანი გარანტია იქნება როგორც ზოგადად ბუნებადაცვითი კულტურის, ასევე ბიოლოგიათა კადრების მომზადების დონის ამაღლებისთვის.



სწორედ ამ მოთხოვნებიდან გამომდინარე, ქალაქის საბჭოში შემდგარ თათბირზე სპეციალისტებმა კატეგორიულად უარყვეს ზოოლოგიური პარკის მშენებლობა კრწანისის ტყე-პარკის მიდამოში. აღნიშნული იყო, რომ მომავალი ზოოლოგიური პარკი მდ. ვერეს ხეობაში უნდა აშენდეს, როგორც ეს ბავშვთა ქალაქ „მზიურის“ გენერალური გეგმით იყო გათვალისწინებული.

ქვემოთ შევეცდები ერთმანეთს შევადარო ეს ორი ტერიტორია, რათა მკითხველს წარმოდგენა შეექმნას, თუ რაზეა ლაპარაკი.

კრწანისის ტყე-პარკის მიდამოში ზოოლოგიური პარკისთვის შერჩეული ტერიტორიის რელიეფი მარტივია, პრაქტიკულად ვაკეა. ამის გამო ზოოპარკის უმეტეს ბინადართათვის საჭირო იქნება ხელოვნური რელიეფის შექმნა, რაც მნიშვნელოვნად ავნებს როგორც ცხოველების კეთილდღეობას, ასევე მათი აღქმის ესთეტიკურ მხარეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ვოლიერების შექმნისას საჭირო გახდება ლობეების მშენებლობა მათ მთელ პერიმეტრზე, რაც მთლიანად მოსპობს თავისუფალი ცხოველის აღქმის ილუზიას. მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეს ტერიტორია თბილისის შემოგარენში ყველაზე მკვეთრად გამოხატულ არიდულ ზონაში მოჰყვება, სადაც ზაფხული მეტად ცხელია, წლის განმავლობაში ჭარბობს ძლიერი ქარი.

მდ. ვერეს ხეობაში გათვალისწინებული ზოოლოგიური პარკის ტერიტორია, რელიეფის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, არავითარ რეკონსტრუქციას არ მოითხოვს. ეს კი საშუალებას იძლევა ვამყოფოთ ცხოველები მათთვის ბუნებრივ რელიეფურ სტატუაციაში.

აღსანიშნავია ისიც, რომ უმეტეს შემთხვევაში საჭირო არ იქნება მძლავრი ღობეების მშენებლობა ვოლიერის მთელ პერიმეტრზე. ამის საშუალებას ბუნებრივი, ცხოველებისთვის გადაულახავი წინაღობები იძლევა. ეს ყველაფერი დამთვალიერებელს შეუქმნის თავისუფალი ცხოველის აღქმის ილუზიას. კლიმატური თვალსაზრისითაც ეს ტერიტორია ოპტიმალურია. გარშემო განლაგებული მთები იცავენ მას ძლიერი ქარისგან.

კრწანისის ტყე-პარკი და მისი მიმდებარე ტერიტორია მდინარე ვტკვერის ხეობაშია, რის გამოც ქარი ამ რაიონში ჰქრის ან მტკვრის დინების მიმართულებით, ან მის საწინააღმდეგოდ. ამიტომ ტყე-პარკის რაიონში, ქარს თბილისიდან და რუსთავიდან მოაქვს გაჭუჭყიანებული ჰაერი. აქვე გადის სარესპუბლიკათშორისო მნიშვნელობის საავტომობილო მაგისტრალი. საავტომობილო მოძრაობა ძალიან აჭუჭყიანებს ატმოსფეროს გამონაბოლქვით. გამონაბოლქვის კონცენტრაცია მაშინაც კი არ შემცირდება, თუ ამ მონაკვეთში არსებული ტრასის მაგივრად აშენდება ტყე-პარკის გაფართოების გენერალური გეგმით გათვალისწინებული სატრანსპორტო ესტატადა.

„მზიურის“ ვარიანტის ზოოლოგიური პარკის ტერიტორია დღესაც და მომავალშიც მთლიანად დაზღვეულია ატმოსფეროს დაჭუჭყიანებისაგან, რადგანაც მდინარე ვერეს ხეობაში (უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსიდან ზევით) არ არის და პერსპექტივაშიც არ იქნება შესაძლებელი არც რამდენადმე მნიშვნელოვანი საავტომობილო მოძრაობა და არც ატმოსფეროსა და წყლის გამაჭუჭყიანებელი საწარმოების შექმნა. ეს ყველაფერი ზოოლოგიური პარკის დამთვალიერებელს (ისევე როგორც მომსახურე პერსონალს) სუფთა ჰაერზე და სიწყნარეში ყოფნის საშუალებას მისცემს.

კრწანისის ტყე-პარკში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, თბილისის შემოგარენში მტრედებისა და ყორნისნაირთა ერთ-ერთი ყველაზე დიდი სიმჭიდროვეა, სწორედ ეს ფრინველები არიან ცხოველების და ხშირად ადამიანის, დამდგალიერებლების ავნონ ცხოველების დიდ სიკვდილიანობას სხვა მიზეზიც აქვს — ჩვენი ზოოლოგიური პარკი იმდენად სახელგატეხილია, რომ არც ერთი ზოოლოგიური პარკი არ აძლევს ჯანმრთელ ცხოველს. გიოხსენეთ, თუნდაც, სპილო ბაჩო, ან ამას წინათ მოშენილი ზღვის ლომები, რომელთაგან ერთი ავადმყოფი გამოდგა, მეორეკი დამთვალიერებლებმა მოკლეს — ქალის წინდაში გახვეული სატკბილი მისცეს. სამწუხაროდ, ეს ტატური შემთხვევებია.

დირექციისა და თანამშრომლების ცდებს (ისინი კი მართლა ეცდებიან) — წესრიგში მოიყვანონ ზოოპარკი, ორავითარი შედეგი არ იქნება, სანამ სათანადო თანხებს ჯერ მიიღებენ არსებული ტერიტორიის წესრიგში მოსაყვანად. მადლობა ღმერთს, მგონი ქალაქის მესვეურებმა პირი იბრუნეს ზოოპარკისკენ. 15 თებერვალს აქ ი. ანდრიაძის მეთაურობით მოიწყო თათბირი, რომელზეც დაისახა ღონისძიებები არსებული ზოოპარკის მოსაწესრიგებლად. კაცი იმედით ცოცხლობს და, წარსული გამოცდილების მიუხედავად, იმედი ვიქონიოთ, რომ თბილისს, ბოლოს და ბოლოს ეღირსება კარგი ზოოლოგიური პარკი. კიდევ ერთი რამ: დღეს არსებულ „მზიურსაც“ მოაკლდა ქალაქის ყურადღება, რის გამოც დღევანდელი „მზიური“ ფაქტობრივად კვდება. მისი გამოცოცხლება კი ზოოლოგიურ პარკთან შერწყმას შეუძლია.

მკითხველს, ალბათ, დაინტერესებს, თუ რისთვის იქნება გამოყენებული არსებული ტერიტორია ზოოლოგიური პარკის ახალ ადგილას გადატანის შემდეგ? პროექტის მიხედვით, ეს ტერიტორია „მზიურის“ ცენტრალური შესასვლელი უნდა გახდეს. მე კი, ამ ტერიტორიის მომავალ ფუნქციასთან დაკავშირებით ერთი წინადადება მინდა შემოგთავაზოთ. თბილისში თითოეულ უბანს ისტორიულად თავისი კონკრეტული სახე ჩამოუყალიბდა. გმირთა მოედანსაც ჩამოუყალიბდა თავისი ისტორიული სახე, ეს ცირკისა და ზოოლოგიური პარკის უბანია, და წარმოუდგენელი იქნებოდა რომელიმე მათგანის ხელოვნებით მოშლა. ჩემი აზრით, უმჯობესია დღეს არსებული ზოოლოგიური პარკის ადგილზე დარჩენილიყო საქართველოს ფაუნის ეკსპოზიცია. ჩვენი ფაუნის წარმომადგენელთა სიცოცხლის გამო სანიტარული პრობლემებიც ადვილად გადაწყდებოდა. ახალ ზოოლოგიურ პარკში კი მსოფლიოს ფაუნის ეკსპოზიცია უნდა მოიწყოს. თუ ეს წინადადება მისაღებია, მაშინ აქედანვე უნდა ვიზრუნოთ, რომ დღეს არსებული პარკის მოწესრიგება-რეკონსტრუქცია სწორედ ამის შესაბამისად მოხდეს.

P. S. 11 მარტს, ზოოლოგებისაგან შემდგარმა კომისიამ ბატონ ირაკლი ანდრიაძეს გადასცა ოფიციალური დასკვნა თბილისის ზოოლოგიური პარკისთვის ახალი ტერიტორიის შერჩევის შესახებ. დასკვნაში აღნიშნულია, რომ ზოოპარკის ტერიტორიისადმი წაყენებული მოთხოვნებიდან გამომდინარე, ახალი პარკ „მზიურის“ გეგმით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე. 15 თებერვლიდან მოყოლებული ზოოპარკში ყოველ კვირას ტარდება თათბირები, რომლებშიც მონაწილეობენ ქალაქის მერი, სხვადასხვა სამშენებლო და საპროექტო დაწესებულებების წარმომადგენლები. ამჯერად გადამწყვეტი სიტყვის უფლება ზოოლოგებს მიეცათ.

იასონ ბადრიძე,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ზოოპარკის მომავალზე

ყუდეგა სოციალური პროგლემეგი

ყაზბეგი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). უკანასკნელ წლებში ბევრი რამ გაკეთდა რაიონის სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებისა და მოსახლეობის მოთხოვნათა დაკმაყოფილებისათვის. ექსპლოატაციაში გადაეცა თორმეტბინიანი საცხოვრებელი სახლი დაბა ყაზბეგში, აოშის საშუალო სკოლა, ბაგა-ბაღი სოფელ გარბანში, ტელეგადაცემები მიიღო კობის, ყანობის, ხურთისის მოსახლეობამ, ციხეფერი გზა აციმციმდა ფანშეტის, ხევსურთა სოფელ ჯუთის მცხოვრებთა ოჯახებში. ამოქმედდა წყალსადენები დაბა ყაზბეგსა და სოფელ სიონში, რეკონსტრუირებულია ცდოს, ართხმოს, თრუსოსა და ჯუთის მისასვლელი გზები, მშრომელთა აქტიური მონაწილეობით მოეწყო სპორტული მოედნები და პარკები ახჩოტსა და დაბა ყაზბეგში. აქვე შეყობრში ჩადგა ახალგაზრდული კლუბი. ჩატარდა დაბისა და სოფლების კეთილმოწყობის სხვა სამუშაოები და ა. შ. შემდგომში გათვალისწინებულია უფრო ფართო მასშტაბის სამუშაოები, რათა ხევმა ნამდვილად იცვალოს იერ-სახე და მოხვევს შეექმნას ყოფა-ცხოვრებისა და შრომის ნორმალური პირობები, აღარც იფიქროს ისტორიული კუთხის მიტოვება.

სპორტი

შეხვედრა ბოგეფ ბლატერთან

ფეხბურთის გულშემატკივრები, ცხადია, დაინტერესა საკავშირო და რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნებულმა ცნობამ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივნის იოზეფ ბლატერის მოსკოვში მოსალოდნელი ჩამოსვლის თაობაზე. ბლატერმა სიტყვა შეასრულა და 14 თებერვალს დღის ორ საათზე მოსკოვს ჩამოფრინდა. გენერალურმა მდივანმა მოინახულა ლევ იაშინი, რომელიც ახლახან სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავით დაჯილდოდა. შემდეგ შეხვდა სსრ კავშირის სპორტსახკომის თავმჯდომარეს ნიკოლოზ რუსაკს. უკვე 6 საათზე სპორტსახკომის სპეციალურ მოსალაპარაკებელ ოთახში შედგა ფიფას, სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციისა და საქართველოდან საგანგებოდ ჩასული სამთავრობო დელეგაციის შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ: ფიფას გენერალური მდივანი იოზეფ ბლატერი, ფიფას აღმასკომის წევრი, იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე პაბლო პორტა, სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ვიაჩესლავ კოლოსკოვი, ამავე ფედერაციის საერთაშორისო კომისიის წარმომადგენელი ლევ ზარაზოვიჩი. საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვაჟა ლორთქიფანიძე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტი ოთარ წერეთელი, თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი დავით ყიფიანი.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ შეხვედრის მოწყობა მოხერხდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის გივი გუმბარიძის აქტიური ხელშეწყობით.

საქართველოს დელეგაციის წევრებმა შეკრებილთ გააცნეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობის გადაწყვეტილება რესპუბლიკის გუნდების მხოლოდ ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობის, დამოუკიდებელი ფედერაციის ჩამოყალიბების თაობაზე და ფიფას ოფიციალური წარმომადგენლობის წინაშე დასვეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ფიფაში გაწევრიანების საკითხი. შეხვედრა თითქმის ორ საათს გაგრძელდა.

15 თებერვალს იოზეფ ბლატერმა სსრ კავშირის სპორტსახკომში გამართა პრეს-კონფერენცია საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის.

ამ ამბებზე დაწერილებით „კომუნისტის“ უახლოეს ნომერში მოგითხრობთ.

ელგუჯა ბერიშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

რედაქტორი
ნ. ჩერქეზიშვილი.

23 მარტს აუქციონზე

1990 წლის 23 მარტს საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის რესპუბლიკური კომერციული ცენტრი ქ. თბილისში აწყობს გაზრდილი მოთხოვნილების საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის

აუქციონს

ვიწვევთ საწარმოებს, ორგანიზაციებს, კოოპერატივებს და მოქალაქეებს, რომლებიც ეწევიან ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობას, მიიღონ მონაწილეობა აუქციონში, გამყიდველის და მყიდველის როლში.

აუქციონი გაიმართება საქართველოს სახელმწიფო მომარაგების კომიტეტის კომერციული ცენტრის გამოფენის შენობაში:

ქ. თბილისი, ვარკეთილი-3, II მიკრორაიონი, გახოკიძის ქ. №165.

აუქციონში მონაწილეობისთვის მყიდველმა უნდა გადაიხადოს 25 მანეთი.

აუქციონის დასაწყისი 11 საათზე.

ცნობებისათვის მიმართეთ ტელეფონით: 87-54-87, 78-89-49, 78-88-68.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს საწარმოო გაერთიანება „სამთო ქიმია“ აცხადებენ კონკურსს

რაჭის სამთო ქიმიის ქარხანაში მაღალი სისუფთავის ლითონული დარიშხანისა და მისი ნაერთების წარმოების ეკოლოგიურად სუფთა და უნარჩენო ტექნოლოგიების დამუშავებისა და დანერგვის მიზნით, შემდეგ საუკეთესო სამუშაოებზე:

1. დარიშხანისა და მისი ნაერთების წარმოების ცალკეული ეტაპების ტექნოლოგიების სრულყოფა;

2. ლითონური დარიშხანის და მისი ნაერთების წარმოების ახალი ტექნოლოგიები.

კონკურსზე გამარჯვებული თითოეული ნაშუშევარი დაჯილდოდება ფულადი პრემიით.

პრემიის მოსაპოვებლად მასალები განცხადების გამოქვეყნების დღიდან სამი თვის განმავლობაში უნდა გამოიგზავნოს მისამართით 380008, თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 52, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილება, წარწერით კონკურსი — „დარიშხანი“.

საქართველოს მცირეზომიანი გემების სახელმწიფო ინსპექცია აცხადებს

სანავიგაციო სეზონის მოახლოებასთან დაკავშირებით საქართველოს მცირეზომის გემების სახელმწიფო ინსპექცია გაცნობებთ, რომ ყველა ორგანიზაციებს და მოსახლეობის კერძო პირებს, ვისაც ჰყავს მცირე ზომის ნავები, აუცილებელია საჭიროებისა და წარადგინონ სახელმწიფო ინსპექციაში ტექ-დათვალიერებისათვის 1990 წლის 1 მაისამდე.

ჩვენი მისამართია: საქართველოს მცირეზომიანი გემების სახელმწიფო ინსპექცია, ლენინის ქ. №6.

სახელმწიფო ინსპექტორები იმყოფებიან: ქ. თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, სოხუმში, გაგრაში, ოჩამჩირეში, მცხეთაში, რუსთავში, ვარდანაში.

ტელევიზია— პარასკევი, 16 მარტი

თბილისი

პირველი პროგრამა. 13.20 — საბავშვო ბაღების აღსაზრდელთათვის — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 13.50 — ფიზიკის ტელეკურსი. 14.20 — მხატვრული ფილმი „იღბლიანი ქალი“. 15.30 — მულტიპლიკაციური ფილმი „მდინარის გასწვრივ“. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — შეავისწავლოთ ფრანგული ენა. 16.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბულგარეთი“. 17.20 — უფროსკლასელთათვის. საქართველოს ისტორია. 17.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სურხანი“ (პირველი ჩვენება). 18.00 — მოსწავლეთათვის ჩვენი სახელოვანი წინაპრები. 19.00 — ქართული ფილოსოფიის ისტორია (გადაცემა III). 19.30 — ხეზე კვეთის ოსტატი — გიორგი გათენაშვილი. 20.00 — მოამბე. 20.35 — საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის. 21.15 — არჩევნები — სტერეოტიპი თუ სიახლე? 22.00 — „ვრემია“. 22.30 — კინოს სიყვარულით. 23.30 — უკრავს საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს სიმფონიური კვარტეტი.

მეორე პროგრამა. 16.35 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ეპიცენტრი“ (პირველი ჩვენება). 16.55 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების ეკრანი. 17.35 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „სოფლის ამბავი“. 18.10 — მოსწავლეთათვის ფიზიკა. 18.55 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „წყნარი პატარძალი“. 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი „წითელი ვაშლობის ხანა“.

მოსკოვი

**